# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№103 (9783) 2024 წლის 9 სექტემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


## „ქართული ოცნება“ სამცხე-ჯავახეთში



**ბიძინა ივანიშვილი:**

## ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქაოსი, რომლის მოწყობას კოლექტიური ნაცმოძრაობა ცდილობს!

**ახალციხეში რეგიონული შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ**

მივესალმები ახალციხეს, ახალქალაქს, ბორჯომს, ნინოწმინდას, ადიგენს, ასპინძას, ვალეს, ბაკურიანს, წაღვერს, ახალდაბას, აბასთუმანს და ყველა მათ მცხოვრებ – ხალხს, რომელმაც ძალიან კარგად იცის საკუთარი ქვეყნის ისტორია და განსაკუთრებით ტრადიციების მნიშვნელობა, ძალიან კარგად იცის მშვიდობით და სიყვარულით თანაცხოვრება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის. აქ მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა, სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა ზუსტად იციან, რომ მათ სამშობლოს – საქართველოს, ღირსებას ვერავინ წაართმევს და საკუთარ წარსულზე უარს ვერავინ ათქმევინებს, წარსულზე, რომელიც ასევე ღირსეული მომავლის მთავარი საფუძველია.

ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს, მშვიდობას, ღირსებას, კეთილდღეობას და მხოლოდ ამ გზით ვირჩევთ ამ ქვეყნის ევროპულ მომავალს!

**სამცხე-ჯავახელებს მიმართა პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა**

1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვებიდან რამდენიმე წელში ჩვენი პარტიის დამფუძნებლის ბატონი ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ჩვენმა გუნდმა – „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანას მოუტანა უამრავი ხელშესახები პროგრესი ყველა სფეროში, ბიუჯეტი და ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა, უმუშევრობა და სიღარიბე ისტორიულ მინიმუმზეა ჩამოსული, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან შეიქმნა 200 ათასზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი, გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, ჩვენი მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობენ ევროპაში, ჩინეთში, რუსეთში, გავხსენით უზარმაზარი სავაჭრო ბაზრები, ევროკავშირის ბაზარი, სადაც ჩვენს ხალხს შეუძლია ყოველგვარი გადასახადების გარეშე შეიტანონ და გაყიდონ წარმოებული პროდუქცია, გავხსენით უზარმაზარი ჩინეთის ბაზარი, რუსეთის ბაზარი, დღეს სრული თავისუფლება აქვს ხალხს, როგორც გადაადგილების, ისე ვაჭრობის, მეწარმეობის, საკუთარი ნიჭის რეალიზების და ქვეყანა 12 წელში გახდა ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფო. ამ დროს იზრდება და ვითარდება ყველა სექტორი, რაც მთავარია, ქვეყანაში დაისადგურა უპრეცედენტო უწყვეტმა მშვიდობამ, და დღეს ხალხმა იცის, რომ ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომლის მმართველობის პირობებშიც ქვეყანა და ხალხი დაცულია ყველაზე დიდი უბედურებისგან – ომისგან და ხალხმა იცის, რომ, სანამ ბიძინა ივანიშვილია ხელისუფლებაში, ქვეყანაში ომი არ მოხდება!

**26 ოქტომბერს ხალხმა უნდა აირჩიოს ომი ან მშვიდობა!**

იხ. მე-3 გვ.

# სიტყვითმკვლელნი!

## რას ჩმახავ უნამუსო დეკანოზო ილია ჭიღლაძევ!



**„წყალტუბოელი ერმილე ბიბიაძე ყოფილა ერთადერთი ნამუსიანი ქოცი მთელ საქართველოში, რადგან ნამუსმა შეაწუხა მხილების დროს და გულმა უმტყუნა“**

პუბლიცისტური სჯანი

## რა ატამი, რი ყურძენი, რა ხვნა-თესვა, რი რუსეთი!



ლაშა აკაკის ძევ, ეტყობა, ლოგიკასთან ნამეტნავად მწყრალად ბრძანდებით!

2



4

## უკადრებლის კადრების მასტერკლასები, ანუ ბოლომდე აქოთებული ლაშა ბაქრაძე და შალიკო ნათელაშვილი

„მისტერ ოფშორის“ ჩინთვები...



## მძარცველი კეზერაშვილის საოჯახო ბიზნესი

5

## ჩეხეთის „მიჩეხვა“ მესხზე... წინ ალბანეთია!



ევროპის ერთა ლიგის პირველი მატჩი თბილისში საქართველოს ნაკრების შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა — 4:1

10

## ბრინჯაოს წერტილი

**არნახული წარმატებით დაასრულა პარიზის პარალიმპიადაზე გამოსვლა საქართველოს დელეგაციამ.**

გუშინ ჯვაროსანთა ნადავლი მე-9 მედლით გაამდიდრა აკაკი ჯინჭარაძემ, რომელმაც წოლჭიმში ბრინჯაო მოიხვეჭა – 250 კგ.

1 ოქრო, 4 ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო – ასეთია საბოლოოდ ჩვენი ნაკრების ფრანგული მონაგარი.

ვულოცავთ!





# რა ატამი, რი ყურძენი, რა ხვნა-თესვა, რი რუსეთი!



**ესა ამბავი ყველაზე მეტად კახელ გლეხებს გაახარებსო, ბრძანა უმანკო ქალბატონმა თინამ — აგე, ბატონო, 14-მილიარდიანი ევროტომარა და მიდიი... რა ატამი, რი ყურძენი, რა ხვნა-თესვა, რი რუსეთი — მთავარია, ფულის ჩასაწყობად ქისების წაღება არ დაგავიწყდეთო!**

**გასული** კვირის ყველაზე პოპულარულ მოვლენად ლაშა ბაქრაძის ეს განცხადება იქცა: **„...სიღატაკე, სიდუხჭირე, შიმშილი 41 ნომერთან ერთად, ან კეთილდღეობა 5 ნომერთან და ჭეშმარიტ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად. ამიტომ არჩევანი არის ძალიან მარტივი, მით უმეტეს, როდესაც შეხედავთ, როგორი ქალები დგანან ჩვენს გვერდით: ქალბატონი თინა, ქალბატონი თამარი, ქალბატონი სოფო – აი, ასეთ ადამიანებს გთავაზობთ ჩვენ და არა, გოდიში და, იმ ნახმარ სახეებს, რომლებიც აქვთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს.“**

**ლაშა აკაკიევიჩი, ეტყობა, ლოგიკასთან ცოტა მწყრალად ბრძანდება – „უხმარობა“ ნებისმიერი ქალის ღირსეულობის შესაფასებლად ვერ გამოდგება. მაგალითად, ქალბატონი ნელი რუსიშვილი მამიდაჩემ ქეთუშასავით „უხმარად“ რომ დარჩენილიყო, თვითონ ლაშა ამ ქვეყანას ვერ მოევლინებოდა.**

**ლაშა ბაქრაძე არის არა „პროსტო“ ისტორიკოსი, არამედ მკვლევარი-თეოლოგი, გერმანისტი, პოლიტოლოგი, ლიტერატურისმცოდნე, მსახიობი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ნაცპროპგანდისტი (ნეტავ, რამე ხომ არ გამომრჩა!)...1992 წლიდან ათზე მეტი წლის განმავლობაში სწავლობდა და მოღვაწეობდა ბერნის, პოტსდამის, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტებსა და პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში.**

და, აი, ამ ყოვლად განათლებულმა ბატონმა ლაშამ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ილიაუნის ასოცირებულმა პროფესორმა – არ იცის, რომ ისტორიის ცოდნა არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების, მოვლენების, თარიღებისა და გვარების სხაპასხუპით ჩამორაკრაკებას. ისტორიის ცოდნა ნიშნავს ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერი განვითარების ანალიზის უნარს. ბატონ ლაშას რომ ეს უნარი ჰქონოდა, მიხვდებოდა, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დაინტერესებული უცხოური ძალების დაფინანსებით შექმნილი და უკვე 2008 წლის აგვისტოში პოლიტიკურად საბოლოოდ გაკოტრებული ნაცმოძრაობის დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლებაში ხელახალი აღზევება გამორიცხულია, რადგან ეს ეწინააღმდეგება ისტორიის განვითარების კანონზომიერებას.

ერთადერთი გზა ამისკენ სამოქალაქო დაპირისპირება და სახელმწიფო გადატრიალებაა. **სწორედ ის, რასაც 1992 წელს ნიჭიერი ლაშა მშობლებმა ევროპაში გახიზვნით აარიდეს და, სამწუხაროდ, რასაც ის დღეს ასე ერთგულად ემსახურება.**

უკვე 60-ს მიღწეულ უხმარ (უმანკო!) დედისბიჭ ლაშიკოს დღეს „მაგარი ბიჭობა“ მოუნდა და ქართველ ქალებზე უნიჭოდ „წაიგლახავა“. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ტიტულოვან ისტორიკოსს წარმოდგენა არა აქვს ისტორიის განვითარების კანონზომიერებაზე. ან უარესი – ყველაფერი მშვენივრად იცის, მაგრამ უნიჭო ნაცლიდერების გაცუცურაკებას ცდილობს. შემიძლია, ისიც გითხრათ – რატომ ცდილობს.

**ვერ გეტყვით, მოაზროვნე საქართველოსთვის დიდი დანაკლისია-მეთქი, მაგრამ ლაშა ბაქრაძემ თავისი ამ ყოვლად უაზრო ნაცპატრიოტიზმით საბოლოო განაჩენი გამოუტანა საკუთარ კარიერას და ავტორიტეტს. არა აქვს მნიშვნელობა მის ნაძალადევ გოდიშებს და არც იმას, დარჩება თუ არა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე.**

* * *

**გასულ** კვირას ვინმე თავისი ამერიკელობით გაბღენძილ-აღვინიზებული სოლიდური ასაკის ნაცი მამაკაცი „ქართული ოცნების“ ასევე სოლიდური ასაკის მამაკაცს ერმილე გიგიაძეს დაუპირისპირდა და მას მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შედეგად, ერმილე გიგიაძე გულის შეტევით იქვე გარდაიცვალა...

ერთ-ერთ საერთაშორისო აეროპორტში ამერიკელი მოქალაქის ცოლობით გაყოყლოჩინებულმა ქალბატონმა საჯაროდ მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დავით მათიკაშვილს. ცოლის ამ ყოვლად უღირს ქმედებას ესწრებოდა და, სავარაუდოდ, მასთან წინასწარი შეთანხმებით, ვიდეოფირზე აღბეჭდავდა საქართველოს მომავალზე მზრუნველი მისი ამერიკელი ქმარი...

უახლოესი წარსულიდან, სამწუხაროდ, ბევრი ასეთი მაგალითის მოშველიება შეიძლება. მარტო ის რად ღირს, პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები ოპონენტებს საჯაროდ „84 ტყვიით“ რომ ემუქრებოდნენ.

ამგვარ უმსგავსობებზე თავგადაკლული ნაცებისა და პოლიტიკოსებად წოდებული ნაცლიდერების აღფრთოვანებული კომენტარებიც გემახსოვრებათ.

ამ კომენტარებიდან ჩემთვის და სხვა ბევრისთვის მოულოდნელი დეკანოზ ილია ჭიღლაძის, წმინდა სინოდის პრესმდივნის საჯარო განცხადება აღმოჩნდა: **„წყალტუბოელი ერმილე გიგიაძე ყოფილა ერთადერთი ნამუსიანი ქოცი მთელ საქოცეთში, რადგან ნამუსმა შეაწუხა მხილების დროს და გულმა უმტყუნა “**

სამწუხაროდ, ალბათ არ ვცდები: ამ საკმაოდ პოპულარული სასულიერო პირის სიტყვა თავისი მნიშვნელობით დანარჩენი ნაცგველაძეების ბოროტულ გამონათქვამებზე ბევრად აღმატებულია.

ავის მომასწავებელია წმინდა იოანეს შეგონებათა ასე პირწმინდად დავიწყებაც: „პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“.

* * *

**გასულ** კვირას პარლამენტი განიხილავდა კანონპროექტს „ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ“. შეგახსენებთ, რომ კანონში საუბარია არა გაუკუღმართებული სექსუალური მიდრეკილების მქონე პირების დასჯაზე, ან მათი „მოღვაწეობის“ აკრძალვაზე, არამედ ამგვარი ქმედების პროპაგანდის (მედიაში, ქუჩაში, საბავშვო ბაღში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში...) აკრძალვაზე. მსოფლიო ლგბტ კლანის მითითებებით შთაგონებული ოპოზიციის ლოგიკით, კანონპროექტი ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს. თუმცა, ამ ბოლო დროს მეტისმეტად გავირეშმაკებულ ოპოზიციას გასაგები მიზეზის გამო, ამაზე საჯაროდ საუბარი არ სურს. ამიტომაც მისი უდიდესი უმრავლესობა სხდომებს არ ესწრება – თუ პარლამენტი ნებისმიერი მიზეზით კანონს ვერ, ან არ მიიღებს, გმირი ოპო გამარჯვების დროშას ააფრიალებს; თუ მიიღებს, რკინისებური ალიბი ხელთა აქვს – მას ხომ განხილვებში მონაწილეობა არ მიუღია!

* * *

**4 სექტემბერს** ყვარელში, სააკაშვილის ეზოში გამართულ შინაურულ შეკრებაზე, ქალბატონმა თინა ბოკუჩავამ, ლაშა ბაქრაძეს რომ დავესესხო, ნაცმოძრაობის მთავარმა „უხმარმა სახემ“, თანამოაზრეებს ხუთი წინა საარჩევნო პრიორიტეტი წარუდგინა: „კი ევროპას, შემოსავლების ზრდა, პენსიონერების დაცვა, ძლიერი ქართული ოჯახი, ფასების მაფიის დასრულება“. მისი თქმით, 26 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში გამარჯვებისთანავე, „ნაციონალური მოძრაობა" კოალიციურ პარტნიორებთან ერთად გახსნის მოლაპარაკებებს ევროკავშირთან გაწევრებაზე და საქართველო გახდება ევროკავშირის ამაყი, ღირსეული და სრულფასოვანი წევრი. რაც მთავარია, თურმე, გაწევრებაზე მოლაპარაკების დაწყებისთანავე(!) საქართველოს წინაშე გადაიშლება უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობები, მათ შორის, წვდომა 14-მილიარდიან ევროპულ ფონდზე.

ეს ამბავი ყველაზე მეტად კახელ გლეხებს გაახარებსო, ბრძანა უმანკო ქალბატონმა თინამ – აგე, ბატონო, 14-მილიარდიანი ევროტომარა და მიდიი... რა ატამი, რი ყურძენი, რა ხვნა-თესვა, რი რუსეთი – მთავარია, ფულის ჩასაწყობად ქისების წაღება არ დაგავიწყდეთო! ეგ კიდე არაფერი – როგორც კი მიშა სააკაშვილის ყოვლად უხმარი სახეები ხელისუფლებაში მივლენ, მეორე დღესვე გვექნება უვიზო რეჟიმი და თავისუფალი ვაჭრობა ამერიკასთან; საშუალო ხელფასი გაიზრდება 3500 ლარამდე; პენსიები – 1500-მდე; გაჩნდება ინვესტიციები, გაქრება კორუფცია, ამაღლდება ეკონომიკა, გათავისუფლდება ბაზარი, დაიმარხება ფასების მაფია, გაუქმდება საპენსიო საბანკო სესხები, ბიუჯეტიდან დაფინანსდება აუცილებელი სარეცეპტო მედიკამენტები, გაბედნიერდებიან სტუდენტები, გაიფურჩქნებიან მოხუცები, გათხოვდებიან „უხმარი“ შინაბერები და დაბრუნდებიან ემიგრანტები.

მოკლედ, ბოკუჩავას თქმით, მშობლიური ნაცმოძრაობა გააკეთებს ყველაფერს, რასაც აგერ უკვე 20 წელიწადია, გვპირდება ლეიბორისტი შალიკო ნათელაშვილი.

რაც მთავარია, ყველაფერი, რაც გვარამიას მეგობარი ბოკუჩავა კახელებს დაჰპირდა, სჯერა თვითონ ბოკუჩავას: „მე მჯერა, რომ საქართველო 26 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებზე აირჩევს კეთილდღეობას ევროპაში! თავისუფლება პრეზიდენტ სააკაშვილს! ღმერთი ფარავდეს საქართველოს!"

მე, ერთ უბრალო კახელ გლეხს, ბოკუჩავასთან აბა, ვინ მიმიშვებს და იქნებ ვინმემ ჰკითხოთ – ე მიშა სააკაშვილი, ეხლა რო ციხეში ზის, კიდე პრეზიდენტია თუ რამე მამესმა?

* * *



**ამის** თაობაზე ჩვენი გაზეთი უკვე დიდი ხანია, წერს. გასულ კვირას ხელისუფლების მაღალი ჩინის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვები წინასაარჩევნოდ ტერორისტული აქტების განხორციელებაზე. ბიძინა ივანიშვილის გარდა, ტერორის სამიზნე შეიძლება რომელიმე ოპოლიდერი იყოს. ოფიციალურად არავის უთქვამს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს „პატივი“, შეიძლება პრეზიდენტ სალომეს ერგოს – ფორმალურად, იგი არის ქვეყნის პირველი პოლიტიკური ფიგურა, საკმაოზე მეტად დაძაბული ურთიერთობა აქვს

ხელისუფლებასთან, ოპოზიციისთვის არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას და, ივანიშვილისგან განსხვავებით, ბევრად უფრო ხელმისაწვდომია ტერორისტისთვის. მოკლედ, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებას დეიდა ოპოსალომეს დაცვის რადიკალურად გაძლიერება მოუწევს.

ბარემ აქვე პარლამენტარ ალეკოსაც (ელისაშვილს) დავამშვიდებ, გასულ კვირას ოპოზიციონერების შესაძლო დაჭერებზე რომ ალაპარაკდა – პირის დაპატიმრება უნდა ჰქონდეს საფუძველი, ანუ უნდა არსებობდეს დასაბუთებული დანაშაულის ფაქტი. ალეკო ჯერ იქამდე არ ამაღლებულა, რაიმე დანაშაულის ჩადენა რომ გაბედოს. კოლეგისთვის მიპარვით მუშტის ჩარტყმა მცირეწლოვნებისთვის დამახასიათებელი ქმედებაა და სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება. თუ უახლოეს 30 წელიწადში საკუთარი ქმედებების გონებით გაკონტროლება ისწავლა, მაშინ სხვა საქმეა – იქნებ დასაჯონ კიდეც.

* * *

**გასულ** კვირას გავრცელდა საკმაოდ უცნაური და საინტერესო ინფორმაცია, კრემლის მხრიდან დე ფაქტო აფხაზეთისთვის „სოციალური გადასახადების შეწყვეტის“ თაობაზე (19,2 მლნ დოლარი წელიწადში). უფრო გასაგებად, ეს არის დე ფაქტო აფხაზეთის სოციალურ სფეროში (მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები...) დასაქმებული ადამიანების ხელფასი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის თქმით, დაფინანსების შეწყვეტა არ ნიშნავს ურთიერთობების გამწვავებას რუსეთ-აფხაზეთს შორის. „საუბარია მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე. არსებობს ორივე ქვეყნის პრეზიდენტისგან

**პრეზიდენტებს“ „დამოუკიდებლობის დღე“ არ მიულოცა, ბევრ რამეზე მიუთითებს.**

**ამას ემატება კრემლისადმი სომხეთის საკმაოდ ცივი დამოკიდებულება და აზერბაიჯანის აშკარა „სტამბოლიზაცია“.**

**მოკლედ, ვითარება სამხრეთ კავკასიაში იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ნაცმოძრაობის „ფეხებზეკიდია“ ლიდერებს წარმოუდგენიათ.**

* * *

**გასულ** კვირას საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია ნამდვილად არ მოეწონებოდა მარადიული პრეზიდენტის მიშას მეგობრებს და მათ უცხოელ მეგობარ-დამფინანსებლებს: საქართველოს პროკურატურამ გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობით გახსნეს ყბადაღებული ე.წ. „ქოლცენტრების საქმე“. უფრო პროზაულად – ფარდა ახადეს, ძირითადად, პენსიონერების „კეთილშობილური“ ძარცვით დაკავებული საერთაშორისო მაფიის (შპს „მორგან ლიმიტედი“) საქმიანობას ნაცოპოზიციის დამფინანსებელი დავით კეზერაშვილის მეთაურობით. დაპატიმრებულია ოთხი პირი. ასევე, დაუსწრებლად ბრალი წარედგინა კიდევ ორ ფიზიკურ და ერთ იურიდიულ პირს. ბრალდებულთა შორის არიან კეზერაშვილის უახლოესი ნათესავები. ეჭვმიტანილთა ჩხრეკისას ამოღებულია 800 000 დოლარზე მეტი ნაღდი ფული და დიდი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. პროკურატურის ინფორმაციით, სავარაუდოდ, სახელმწიფო გადატრიალებაზე მეოცნებე ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტი ვითომ პარტიების მოღვაწეობა სწორედ ამ ნაქურდალი ფულით ფინანსდებოდა.

**არადა, კანონი „გამჭვირვალობის შესახებ“ არ გვინდაო, კაცოო!...**

## ერისა და ბერის შესაჩვენებელი, განსაკვეთი „ღვთის მსახური“, დეკანოზი ილია ჭიღლაძე:



## „წყალტუბოელი ერმილე გიგიაძე ყოფილა ერთადერთი ნამუსიანი ქოცი მთელ საქოცეთში, რადგან ნამუსმა შეაწუხა მხილების დროს და გულმა უმტყუნა“

სანქცირებული, ორივე ქვეყნის მთავრობისგან დამტკიცებული და ორივე ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შეთანხმებების პაკეტი. ამ შეთანხმებით, ორივე ქვეყანას თავისი ვალდებულებები აკისრია. საუბარია, უბრალოდ, ამ ვალდებულებათა ბალანსის დაცვაზე და ჩვენს აფხაზ მეგობრებს ეს მშვენივრად ესმით“.

ოკუპირებული აფხაზეთის ფინანსთა მინისტრის ვლადიმერ დელბას განმარტებით, დაფინანსება შეჩერებულია „აფხაზური მხარის მიერ აფხაზეთის კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროგრამის პირობების შეუსრულებლობის გამო“.

**აშკარაა, რომ ლავროვ-დელბას დიპლომატიური თამაშის უკან რუსეთსა და აფხაზეთს შორის არსებული მძიმე პრობლემები იმალება. „შეთანხმებების პაკეტის“ სრულად შესრულება აფხაზეთის ისედაც ფორმალურად არსებული „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ საბოლოოდ გაქრობას ნიშნავს. თითქმის იგივე პრობლემებია რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ შორის. თუნდაც ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა პუტინმა აფხაზი და ოსი „კოლეგები“ 9 მაისის აღლუმზე არ მიიწვია, მერე „მეგობარ**

გასულ კვირას განვითარებული მოვლენები ორიოდე სიტყვით შეიძლება ასე შევაფასოთ:

მსოფლიო საზოგადოებისა და მედიის ყურადღებამ პეკინისკენ გადაინაცვლა, სადაც იმართება გრანდიოზული შეხვედრა ჩინეთის ხელისუფლებასა და აფრიკის კონტინენტის ქვეყნების წარმომადგენლობებს შორის; რუსეთ-უკრაინას შორის გრძელდება ძმათამკვლელი ომი; ისრაელი არ გეგმავს ჰამასის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას; საქართველოს ხელისუფლებამ დაიცვა დაუწერელი საერთაშორისო დიპლომატიური ნორმები და უარი თქვა გერმანიის ვერმახტის არაოფიციალური დელეგაციის მიღებაზე; საქართველოს ოპოზიცია აქტიურად ემზადება სახელმწიფო გადატრიალებისთვის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ; ალეკო ელისაშვილი ოპონენტების შესაჭმელად კბილებს ილესავს...



**თეიმურაზ ქორიძე**
08. 09. 2024

თემის გაგრძელება იხ. 4 გვ.

# ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქაოსი, რომლის მოწყობას კოლექტიური ნაცმოძრაობა ცდილობს!

**პირველი გვერდიდან**

### მოსახლეობას სიტყვით მიმართა პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ

**ამ მხარემ** ზუსტად იცის, რა ძალა აქვს საქართველოს ერთობას და დარწმუნებული ვარ სამცხე-ჯავახეთი ამ არჩევნებზე თავის სიტყვას იტყვის, რომ უფრო ახლოს მივიდეთ იმ სანუკვარი ოცნების ასრულებასთან, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია.

დიახ, დღეს დგას ის დრო, როდესაც თუ სწორად ვიმოქმედებთ, თუ ყველა საფრთხეს და შესაძლებლობას ზუსტად შევაფასებთ, თუ არ ავყვებით ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან წამოსულ პროვოკაციებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის არევისა და დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული, ჩვენი ქვეყნის გამთლიანების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამიტომ დღეს არავის გვაქვს უფლება, არ გავიზიაროთ ისტორიული გაკვეთილები, არავის გვაქვს უფლება, ავყვეთ ემოციებს. ჩვენ უბრალოდ მომავალი თაობები არ გვაპატიებენ შეცდომას. თუ გადავხედავთ წარსულს, ვნახავთ, რამდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული, რომელიც, რა თქმა უნდა, მძიმეა.

**გაუმარჯოს ერთიან საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს მშვიდობიან, ევროპულ მომავალს!**

### შეკრებილთ სიტყვით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა

**ჩვენი** ქვეყანა ნინოს გზას გადის, ეკლიანს და მტკივნეულს. გარედან მართული ოპოზიცია აგრძელებს ქვეყნის რყევას. მათ ძალაუფლება სჭირდებათ იმისთვის, რომ ჩვენს სულში სხვებს ხელები აფათურებინონ, საკუთარ ოჯახში სტუმარი ათავკაცო!..ისტორია და სარწმუნოება არის ის ორი უმტკიცესი საყრდენი, რომელსაც ყოველთვის ეყრდნობოდა და კვლავაც დაეყრდნობა ჩვენი საზოგადოება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ხის სიმაღლე მისი ფესვებიდან იზომება, რომ ჩვენ ჩვენი წინა თაობების მხრებზე ვდგავართ. მხოლოდ ასე, მშობლების და წინაპრების პატივისცემით და მათი ღვაწლის სათანადო დაფასებით შევძლებთ მომავლისთვის თვალის გასწორებას და საქართველოს ისტორიის ღირსეულად გაგრძელებას. საქართველოს მომავლის საძიებლად არ სჭირდება უწარსულო მაწანწალასავით უმიზნოდ ხეტიალი. ჩვენი მომავალი ჩვენსავე წარსულშია ჩაბეჭდილი, რომელმაც გამოაწრთო, დააბრძენა და დაალღვინა ჩვენი ერი საიმისოდ, რომ დინჯად და თანმიმდევრულად აშენოს მშვიდობიანი ხვალინდელი დღე. კარგად ვხედავთ, რომ ისტორიის, ჩვენი წინა თაობის, დამსახურებული ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლამ ოპოზიცია დაუპირისპირა ქართველ ხალხს და ქართულ საზოგადოებას. ოპოზიციის თითოეული ძალადობრივი აქტი, მათ მიერ შეურაცხყოფილი თითოეული ხატი თუ პატივსაცემი ადამიანი, იმაზეა გათვლილი, რომ საზოგადოება დაცარიელდეს სულიერად, გონებრივად, კულტურულად. გაქრნენ მორალური ავტორიტეტები, მოიშალოს საზოგადოებრივი ფუნდამენტი, ოჯახი აღარ ოჯახობდეს, უფროსი თაობა აღარ იყოს პატივსაცემი, უარი ვთქვათ საკუთარ ისტორიაზე,'' აღნიშნა პაპუაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, 26 ოქტომბერს გადაწყდება, ღირსეულად გავაგრძელებთ ჩვენი დამოუკიდებლობის ისტორიას, თუ ვიქცევით სხვათა ნების შემსრულებელ პერიფერიად.

### ტრადიციისამებრ, სამცხე-ჯავახელებს ასევე მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

**26 ოქტომბრის** არჩევნები არის გადამწყვეტი რეფერენდუმი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ომი და მშვიდობა, ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოების მორალური გადაგვარების მცდელობა და ტრადიციული ფასეულობები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას – ვინც სვამს ტოლობის ნიშანს ავტორიტარიზმსა და ევროპას შორის, ადამიანების მკვლელობასა და ევროპას შორის, ადამიანების წამებასა და ევროპას შორის, პატიმრებით გადავსებულ ციხეებსა და ევროპას შორის, ბიზნესის რეკეტსა და ევროპას შორის, ტელევიზიების მიტაცებასა და ევროპას შორის, ომსა და ევროპას შორის, კოლექტიურ „ნაცმოძრაობასა“ და ევროპას შორის, მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ ევროპულ ფასეულობებთან!

### შეხვედრაზე დამაგვირგვინებელი სიტყვა წარმოსთქვა პარტიის დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა

**როგორც** წლების წინ, დღესაც, თქვენ წინაშე მდგომი, პირობას გაძლევთ, რომ თქვენი მხარდაჭერის შემდეგ, „ქართული ოცნება“, მშვიდობის, კეთილდღეობის და საქართველოს ღირსეული ევროპული მომავლის ერთადერთი გარანტი, ერთხელ და სამუდამოდ, არა მხოლოდ პოლიტიკურად დაასრულებს რადიკალურ ოპოზიციას, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს, არამედ, დღის წესრიგში დადგება „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების საკითხი.

„გპირდებით, რომ არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვების პირობებში, საქართველოში სამუდამოდ დასრულდება უცხო ქვეყნებიდან ჩვენი ხალხისთვის ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივი მცდელობები, არავის მივცემთ უფლებას შეურაცხყოს ჩვენი რწმენა, კულტურა, ისტორია და ღირებულებები, რაზეც ვიზრდებოდით ჩვენ, იზრდებიან და მომავალშიც გაიზრდებიან ჩვენი შვილები.

მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერით, არჩევნებზე დამაჯერებლად გავიმარჯვებთ, მაგრამ მნიშვნელოვანია ეს გამარჯვება იმდენად დამაჯერებელი იყოს, რომ ვერავინ ვერასდროს გაბედოს იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ის პოლიტიკური ქაოსი, რომლის მოწყობასაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ უცხოელ პატრონებთან ერთად მუდმივად ცდილობს.

როგორც ჩემს წინა გამოსვლებში, თქვენს წინაშეც მინდა მკაფიოდ აღვნიშნო, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში მე და ჩემს გუნდს გვექნება მზაობა, რომ საჭირო დროს და საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება – საქართველო კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი. გარდა ამისა, გამარჯვებისთანავე გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერების და დაცვის მიზნით!..

8.09.2024

# უკადრებლის კადრების მასტერკლასები,

## ანუ, ბოლომდე აქოთებული ლაშა ბაქრაძე და შალიკო ნათელაშვილი



**წინასაარჩევნო შემოსევა დაიწყო. გაოცებული რჩები, ეს რამდენი მეგობარი, გულშემატკივარი და მოფოფინე გვყოლია. რა გაგვიჭირდება, რა მოგვაკლდება მათ ხელში! აი, ახლაც, თბილისში ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია (მე-8-ე, მსოფლიოს გადამრჩენი) „გარდამტეხი წელი“ გაიმართა.**

არ იკითხავთ, ვინ ესწრებოდა, ვინ გაგვაბედნიერა ჩამობრძანებით? მართალია, ახალი გვარები არ წარმოჩენილა სასურველი სიუხვით, მაგრამ ვინც წარმოჩნდა, იმან უდავოდ გაგვახარა, უფრო სწორედ, გაგვაოცა უცვლელობით, სიმყაყით. აი, რამდენიმე გაცვეთილი სახე, ყოფილი და მოქმედი ევროპარლამენტარები, ოკეანისგაღმელი ნათლიმამები: რასა იუკნევიჩიანე, ანა ფოტიგა, უკრაინაში ევროკავშირის ელჩი ჰუგეს მინგარელი, ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ინსტიტუტის დირექტორი დევიდ კრამერი...

სტუმრებმა ენები შარაზე გამოდეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთები ილაპარაკეს, რაც, წესით არ უნდა ეკადრათ სტუმრად ჩამოსულებს! მათ ერთხმად მოგვიწოდეს ხელისუფლების შეცვლისკენ.

ენააქავებულ კოლექტიურ ფოტიგებს არც საქართველოს პრეზიდენტი ჩამორჩა, მან „ქართულ ოცნებას“ ქართული კოშმარი უწოდა.

ჰო, ქალბატონ სალომეს „დაავიწყდა“ რომ, როცა მას არჩევნებში „ქართული ოცნება“ მხარს უჭერდა და პირდაპირ სასიმინდედან აკენკინებდა მარცვალს, მაშინ „ოცნება“ ოცნება იყო, ახლა კი, როცა მხარდამჭერად ლამის მთელი ოპოზიცია ეგულება, კოშმარი გახდა. საინტერესოა, 26 ოქტომბერს, როგორც მოსალოდნელია, თუ კვლავ “ოცნებამ“ გაიმარჯვა, მართლა კოშმარისკენ გეზაღებული პრეზიდენტი რას იქმს, თბილისიდან პირდაპირ პარიზში ფრიიი?!

თუმცა, მხოლოდ ქალბატონი სალომე როდია ასეთი “ნათელმხილველი“. მთელი ოპოზიცია თვენახევარში „დიად გამარჯვებას“ ელის, ოღონდ, როგორ, რანაირად, არ აკონკრეტებს, ან როგორ დააკონკრეტებს! ლოზუნგი, იცოცხლეთ, ისეთი აქვს, ქვას გახეთქავს. გამოვა ინგა გრიგოლია, მთელს ეკრანზე დაიჭერს ლედი მაკბეტის სახეს და კბილებში ტრაგიკულად ცრის: „საით მიდის ჩვენი ქვეყანა, დასავლეთისკენ თუ რუსეთისკენ?“

სად ისმება ასეთი კითხვა, ინგა, გენცვა?

ვინ, რომელი ოცნებელი გვირჩევს რუსეთს, შე უკუღმა მისანო? გიჟი უნდა იყოს პარტიული ხელმძღვანელი, გაუპატიურებული, საყოველთაოდ შერცხვენილი და შეურაცხყოფილი რუსეთი რომ დაგვისახოს მიზნად. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა კი, თუკი ამაზე ვინმე ფიქრობს, დასაძრახისი სულაც არ არის!..

ჰოდა, ნუ აბრალებთ „ოცნებას“ იმას, რაც დასაბრალებელი არ არის, არაპატივცემულო კოლეგავ!

**მაგრამ რას იზამ, ეს არჩევნები იმისაა, რომ ოპოლიდერები სწორედ უკადრისს კადრულობენ. მათი „ფუძემდებლური შეკითხვების“ დიდი უმრავლესობა სწორედ ასეთი ქარიყლაპიური და უსაგნოა!**

ლაშა ბაქრაძე ავიღოთ. კაცი განათლებული და ინტელიგენტი, ვაჟი ცნობილი მწერლის და განმანათლებლის აკაკი ბაქრაძისა, რომელიც ოფიციალურად სულ რამდენიმე თვეა შეუერთდა ნაციონალურ მოძრაობას. ამ კაცმა ახლახან ასეთი რამ იკადრა: „ქალბატონი თინა დაინახეთ დღეს ჩვენთან (უთუოდ ბოკუჩავა-**ა.ა.**), ქალბატონი თამარი (ალბათ, კორძაია-**ა.ა.**), ქალბატონი სოფო (დასტურ ჯაფარიძეზეა ლაპარაკი-**ა.ა.**)... აი, ასეთ ადამიანებს გთავაზობთ დღეს თქვენ და არა, ბოდიში და, იმ „ნახმარ სახეებს“, რომლებიც აქვთ “ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს“...

**ეეე, ლაშა ბატონო, ეს თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?! ასეთ შედარებებს უბირი ბოგანო თუ იკადრებს. ესეც არ იყოს, თანაპარტიელ ქალებს „ნახმარი“ თუ „უხმარი“ სიფათებით ვინ აფასებს, რომელი პარტიის დოკუმენტში წერია ეს სისაძაგლე? ნუთუ ერთიან ნაცმოძრაობისაში? იქ რა, იმის ნაცვლად, რომ საქმეს მიხედონ, მომავალ რევოლუციაზე იფიქრონ, თანაპარტიელ ქალბატონებს სახეებს უფასებენ?**

რა კრიტერიუმებით გამოთვალეთ „ნახმარი სახეები“ „ქართულ ოცნებაში“? განაცებამ რამსები აგირიათ თუ უბრალოდ თვალისჩინი სულ დაკარგეთ და ორი მეტრის იქით ქათამივით ვერაფერს ხედავთ. სხვაგვარად ასეთ უგვან შედარებას როგორ გაბედავდით!

ლაშა ბ-ის „უხმარმა სახეებმა“ შარშან „რუსული კანონის“ განხილვისას ისეთი წარმოუდგენელი უწმაწური ღრიანცელები ატეხეს, რომ ქვეყანა გადარიეს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აი, მაშინ იყვნენ სანახავები ისინი, მათი ლექსიკა სწორედ რომ „ნახმარ სახეებს“ შეესატყვისებოდა, ლაშა ექსპერტო!

„თავისი“ ქალებისადმი ავადმყოფურად მიკერძოებული და მოწინააღმდეგე პარტიის წევრთა მიმართ მტრული და ზიზღიანი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, საერთოდ ოპოზიციის ნიშან-თვისებაა.

კოალიცია “ძლიერი საქართველოს“ (ყოფილი „ლელოს“) ახალშემატებული ანა დოლიძე, რომელიც ცნობილია, როგორც „ძლიერი ქალი“, თავის ვებგვერდზე წერს:

„ჩვენი კოალიცია „ძლიერი საქართველო“ არის პროგრესული ძალა და ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანასწორობა.

„ქართულ ოცნებას“ კი ეზიზღება ქალები.

„ქართული ოცნება“ ებრძვის ქალებს.

ხელისუფლებამ გააუქმა ქალთა კვოტირება, სადაც ევალებოდათ ქალები ჩაესვათ პარტიულ სიებში. მათი ქალებისადმი ზიზღი კარგად ჩანს ე.წ. დელეგატების წარდგენით, რომელთა შორის ქალის ჭაჭანებას ვერ ნახავთ. ჩვენი კოალიცია ყველაფერს გააკეთებს, რომ ქალები ყველგან იყვნენ წარმოდგენილნი“...

წერს ამას „ძლიერი ქალი“ და დარწმუნებულია, რომ ამ მდარე განცხადებით ყველა ამომრჩეველი ქალის გული და ხმა მოიგო. ნუთუ ასე ანასებურად – ასე იოლად, საარაკოდ მარტივად არის გადაჭრილი “ქალთა საკითხი“ კოალიცია „ძლიერ საქართველოში“?

**არადა, როგორც ჩანს, მართლაც სიფრიფანად აზროვნებს ოპოზიცია. მაგალითად, ნიკა მელიას მოუსმინეთ, “ახლის“ ნახევარმეწილეს, ქუდზე კაცი ნამდვილად მოვა, ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ არა მის სასარგებლოდ, არამედ მის საწინააღმდეგოდ. გაგვანდო ნიკანორმა დიდი პოლიტიკური დაკვირვება და მოისვენა. ანი ყველაფერი ორი ნიკას გამარჯვების გზით ივლის. აბა რა!**




**თბილისის კართან ჩახოცილი გმირი 300 არაგველიდან რომელიმე ერთი წუთითაც რომ წამოაყენო, როგორ გგონიათ, რას იზამს? რას და ხმალს იშიშვლებს და რეგვენ, სამარცხვინო შთამომავალს, ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილს თავს წააგდებინებს ხახვის ბოლქვივით. რატომ ვარ ამაში დაჯერებული?**

**იმიტომ, რომ იმ გმირი არაგველების არცერთ მემკვიდრეს არ უკადრია ისეთი საზიზღრობა, რაც მან იკადრა ახლახან. საერთოდ ეს კაცი დიდი შუშუტა ვინმეა.**

**გახსოვთ: რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ რომ წამოყელყრანტალა, მთელ თავის ინგლისურს თავი მოუყარა და „დაუნ დიქტეიტეო“ იყვირა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ.**

**გახსოვთ: ამ ზაფხულს შალვამ ჩვენს ხელისუფლებაზე სპეციალური დასმენის ქაღალდი საკუთარი ხელით წაიღო ვაშინგტონში... მაგრამ „დაუნ დიქტეიტეც“ და დანოსიც პოლიტიკურ ნაბიჯად ჩაეთვალა და ეპატია. მიეეტევა უამრავი ქარაფშუტული ტელეგამოსვლაც...**

**მაგრამ რაც ამ დღეებში შალიკომ თავისი მყრალი პირიდან ამოუშვა, იმას მამაკაცი უბრალოდ არ იკადრებდა: „ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს შარდის სუნით აქოთებული ვინმე იონათამიშვილი საიდანღა მოათრია პარლამენტში პინგვინმა, ეს მაინტერესებს... ცოტა მაინც ჭამოს, მომვლელის არ რცხვენია? რავარია ამის წმენდა დღეში რამდენჯერმე...“**

**ჩემსას არაფერს ვიტყვი, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ დიდხანს ვიფიქრე, გამომექვეყნებინა თუ არა ეს არაკაცობა და კიდევ ერთხელ მეტკინა გული პრინციპული დეპუტატის, ღირსეული ვაჟკაცისთვის. ბოლოს ფეისბუქმომხმარებელთა აღშფოთებას დავყევი. აი, რას წერენ ისინი: „პატარა ადამიანი, თავის სიმცირეს ვერ მოერია“, „დაუჯერებელია, ფეიკი მგონია, ამას ჭკუათმყოფელი როგორ დაწერს?“, „უკადრებლის კადრების მასტერკლასი“, „მაინტერესებს ეს უმსგავსობა რომელიმე უფლებადამცველმა დაგმო?“...**

**ასე გამოაჩინა კიდევ ერთხელ თავისი საზიზღარი, ბინძური შინაგანი არსი შალვა ნათელაშვილმა. ეს ის შემთხვევა არ არის, “ღმერთმა შეუნდოსო“ რომ იტყვიან...**

დაბოლოს, მოვლენა, რომელმაც დიდი ხმაური და კამათი გამოიწვია. საუბარია რუსეთის საგარეო დაზვერვის მოხსენებაზე, რომელიც აგვისტოს ბოლოს გახდა ცნობილი. იგი იტყობინება, რომ ამერიკელები უკიდურესად უკმაყოფილოები არიან საქართველოში 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ არსებული ვითარებით. ეს რუსეთის დაზვერვას რომც არ შეეტყობინებინა, ისედაც კარგად ვიცოდით, მაგრამ კატეგორიული მტკიცება, რომ „ფერად რევოლუციას“ გვიმზადებენ, მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. უწყება ამტკიცებს, საამისოდ ქართული პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი რაოდენობით რეკრუტებს აგროვებენ, რათა ყურადღებით დააკვირდნენ ხმის მიცემის პროცესს. მათ ევალებათ „აუცილებელი ფაქტების“ გამოვლენა და დაფიქსირება. თბილისურ მეიდანზე თურმე იგეგმება კენჭისყრის დროს „გაყალბების“ მტკიცებულებათა გამოქვეყნება, არჩევნების შედეგების არ აღიარება და ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა. მოხდება სამართალდამცავი ორგანოების პროვოცირება „პროტესტის ძალით ჩახშობისათვის“, არჩევნებამდე დარჩენილ დროში მასიურად გაიზრდება ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა მაქსიმალურად შეასუსტონ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პოზიციები...

თვალნათლივი ხდება, რუსეთი გარკვეულწილად ერთვება ჩვენს საარჩევნო პროცესში და საქართველოს ხელისუფლებას ერთგვარ სოლიდარობას უცხადებს. სადაზვერვო სამსახურის ამ განცხადებაში ჩვენთვის ახალი და მოულოდნელი არაფერია. კარგად ვიცით ჩვენი უზარმაზარი მეხუთე კოლონის შესახებ. ბევრი იმათგანი ხომ არც მალავს თავის მოღალატურ პოზიციას. ამის თაობაზე ღია განცხადებაც უხვად მოგვისმენია.

ამ დღეებში ნიკა გვარამიამ აკი ხმამაღლა თქვა: ჩვენთვის ყველაფერი 26 ოქტომბერს კი არა, 27 ოქტომბერს წყდებაო.

ჰო, რა თქმა უნდა, უკვე დაგროვილი ექნებათ „აუცილებელი ფაქტები“, „გაყალბების შემთხვევები“, არ უნდა აღიარონ არჩევნების შედეგები, უნდა მოითხოვონ ხელისუფლების შეცვლა!..

მაგრამ მთლად ასე იოლადაც არ არის საქმე, როგორც ამ ნიკას თუ საერთოდ, კოლექტიურ ნიკაკოებს ჰგონიათ. „ქართული ოცნება“, როგორც ჩანს, სულაც არ ზის გულხელდაკრეფილი, თავის საქმეს მაღალ დონეზე აკეთებს, რის დასტურიც ოპოზიციის აშკარად გამოხატული მზარდი შეშფოთება და უთავბოლო გნიასია. უდავოა, ეს არჩევნებიც წარმატებით დასრულდება, თუ ჩვენმა მეგობარმა დიდმა სახელმწიფოებმა კვანტი არ გამოგვდეს!



**ალეკო ალანიაშვილი**

# მძარცველი კეზერაშვილის საოჯახო ბიზნესი



## დაკავებულმა კეზერაშვილს და მისი ოჯახის წევრებს მილიონი დოლარი გადაურიცხა

საქართველოს პროკურატურამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავებთან თანამშრომლობით, საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც ასევე ჩართული არიან სუს-ის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა. ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულია და ბრალი წარედგინა ქოლ-ცენტრების საქმიანობაში ჩართულ 4 პირს, ასევე დაუსწრებლად წარედგინა ბრალი ორ ფიზიკურ პირს და ერთ იურიდიულ პირს.

„გამოძიების მიერ საბანკო სექტორიდან ამოღებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ შპს „მორგან ლიმიტედის“ სახელით მოქმედი თაღლითური ქოლ-ცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც გატარებული ღონისძიების ფარგლებში მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია, ევროპელი მოსახლეობისგან თანხების თაღლითურად დაუფლების პერიოდში, ჯამში, მილიონ დოლარზე მეტი თანხა ჩარიცხა დავით კეზერაშვილის, კეზერაშვილის დის და კეზერაშვილის დისშვილის საბანკო ანგარიშებზე.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ უკრაინის მოქალაქის მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიის – შპს „მორგან ლიმიტედის“ ბაზაზე, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, ჩამოყალიბდა და 2019-2021 წლებში ფუნქციონირებდა შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული ფორმის მქონე დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანს მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება და შემდგომში ფულის გათეთრება წარმოადგენდა.

შპს „მორგან ლიმიტედის“ სახელით იჯარით აღებულ ფართში მოწყობილი ქოლ-ცენტრის თანამშრომლები, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, უკავშირდებოდნენ ევროპული ქვეყნების მოქალაქეებს და მოტყუებით იყოლიებდნენ, წინასწარ შექმნილ ყალბ სავაჭრო პლატფორმებზე განეხორციელებინათ თითქოსდა მომგებიანი ინვესტიცია.

თაღლითური ქოლ-ცენტრის თანამშრომლები დისტანციურად უკავშირდებოდნენ დაზარალებულებს ელექტრონულ მოწყობილობებზე, არეგისტრირებდნენ მათ სავაჭრო პლატფორმებზე, კრიპტო ბირჟებზე და დაზარალებულების თანხით შეძენილ ვირტუალურ აქტივებს რიცხავდნენ კრიმინალური ორგანიზაციის კონტროლირებად ელექტრონულ საფულეებზე. აღნიშნულის პარალელურად, ყალბ პლატფორმებზე სიმულაციური ქმედებებით დაზარალებულებს აჩვენებდნენ ინვესტირებული თანხების ზრდას, ხოლო დაბანდებული თანხისა და მოგების უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, წყვეტდნენ ყოველგვარ კომუნიკაციას.

აღნიშნული გზით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სლოვენიისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების მოქალაქეების კუთვნილ დაახლოებით 3 170 000 ევროს. თაღლითურად დაუფლებული აქტივებისთვის კანონიერი სახის მისაცემად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მოახდინეს ხსენებული თანხების მათ მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე განთავსება და ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში, მათ შორის უძრავ-მოძრავი ქონებების შეძენის გზით.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ასევე დადგენილია, რომ ერთ-ერთი დაკავებულის ხელმძღვანელობით თბილისში დღეის მდგომარეობითაც მოქმედებდა მსხვილი თაღლითური ქოლ-ცენტრი, რომელშიც მიმდინარე წლის 5 სექტემბერს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია ასეულობით კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, შავი ჩანაწერები და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. იდენტიფიცირებული არიან თაღლითური ქოლ-ცენტრის საქმიანობაში ჩართული სხვა პირებიც.

ბრალდებულთა კუთვნილი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ჯამში 800 000 აშშ დოლარზე მეტი ფულადი თანხა, ძვირადღირებული ნივთები და სატრანსპორტო საშუალებები. სასამართლო განჩინების საფუძველზე, ყადაღა დაედო ბრალდებულების და მათთან დაკავშირებული პირების კუთვნილ რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების აქტივებს – ბრალდებულების საბანკო ანგარიშებს და მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას, რითაც არ მიეცათ მათი შემდგომი განკარგვისა და გადამალვის შესაძლებლობა“, – ნათქვამია პროკურტურის განცხადებაში.

ბრალდებას უარყოფს, პოლიტიკურად




მოტივირებული დევნისა და დისკრედიტაციის მცდელობას უწოდებს პროკურატურის განცხადებას ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომლის განცხადებით, სახელმწიფოს პოლიტიკურ მოტივებს ადასტურებს პრემიერ-მინისტრ კობახიძის განცხადებაც, რომელიც პროკურატურის ბრიფინგს მალევე მოჰყვა.

**სკანდალურ საქმეზე კომენტარს არ აკეთებს ოპოზიცია, რომელთა მთავარი დამფინანსებელი სწორედ კრიმინალი კეზერაშვილია. თუკი გამოძიების ვერსიას გავყვებით, ცხადი ხდება, რომ ოპოზიცია ამ მძიმე დანაშაულის თანამონაწილეა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კეზერაშვილი ძარცვავდა ქართულ ჯარსა და ბიზნესმენებს, ახლა დაკავებულია ევროპაში პენსიონერების ძარცვით და ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში რადიკალიზმს და პოლარიზაციას აფინანსებს.**

„ყველამ იცის, რით არის დაკავებული ეს კაცი, ჯერ რით იყო დაკავებული, როცა „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, მინისტრი და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი იყო – ძარცვავდა ქართულ ჯარსა და ბიზნესმენებს, ახლა დაკავებულია ევროპაში პენსიონერების ძარცვით. ამასთან დაკავშირებით უკვე არაერთი გამოძიება წარიმართა, მათ შორის, უცხოელ პარტნიორებთან ერთად და საბოლოო ჯამში ყველაფერი ხელისგულზე დევს.

ყველაზე შემაშფოთებელი და სამწუხარო არის ის, რომ ეს ადამიანი თავისუფალი მიმოსვლით სარგებლობს ევროკავშირის ქვეყნებში და ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში რადიკალიზმს და პოლარიზაციას აფინანსებს, რასთან დაკავშირებითაც ყველამ საკუთარი დასკვნები უნდა გამოიტანოს“, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

## ეჭვიც არ არის, თაღლით კეზერას ევროპელი ღლავები მფარველობენ!

**შალვა პაპუაშვილის შეფასებით, აშკარა ხდება, რამხელა ფარისევლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსისგან გვესმის შენიშვნები მართლმსაჯულებასთან, დემოკრატიასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ადამიანი, რომელმაც „ქართული ჯარი გაძარცვა და საქართველოში რადიკალურ ჯგუფებს აფინანსებს“, ამ ყველაფერს ევროკავშირის ტერიტორიიდან აკეთებს.**

„საქართველოში მსჯავრდებული დავით კეზერაშვილი, რომელსაც 6 წელი აქვს საქართველოში მოსახდელი, 5 მლნ ევროს მოპარვისთვის ევროკავშირს აფარებს თავს. ამიტომ, ყველა კითხვა ევროკავშირს მიემართება. შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ, რატომ აფარებს თავს კრიმინალი, რატომ გადაადგილდება თავისუფლად ევროკავშირში? რა კავშირი აქვს ამას ევროპულ ღირებულებებთან, კანონის უზენაესობასთან, ან სხვა რაიმე პრინციპთან, რომელზეც ასე მაღალი ტრიბუნიდან გვესაუბრებიან ხოლმე? ეს არის კითხვები, რომელიც მიემართება ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს – რატომ უქმნის ასეთ თავისუფლებას კრიმინალს, რომელიც თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნების პენსიონერებს ძარცვავს? ცოტა ხომ უნდა დაფიქრდნენ ამაზე, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ქართულ მართლმსაჯულებასაა გაქცეული ეს ადამიანი?“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

**ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, დავით კეზერაშვილის უკან მსხვილი ღლავები დგანან, რომლებიც ამაგრებენ და ამუშავებენ ამ ავაზაკთა ბანდის მეთაურს, რომელიც მიუხედავად მის მიმართ ფაქტებით გაჯერებული წაყენებული ბრალდებისა, დაუბრკოლებლად გადაადგილდება დასავლეთის დემოკრატიით ქებულ ქვეყნებში.**

„განსხვავებით ჰელსინკის კომისიისგან, რომელმაც ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დასდო ბრალი „ქართულ ოცნებას“ ქოლ-ცენტრების შექმნასა და შავი ფულის გათეთრებაში, პროკურატურამ გერმანელ კოლეგებთან ერთად უტყუარი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა, სადაც მთავარ ფიგურად კვლავაც დავით კეზერაშვილია დასახელებული.

დიახ, ეს ის კეზერაა, რომელმაც ჯერ ქართული ჯარი გაძარცვა, ახლა კი დაუნდობლად ძარცვავს და აღატაკებს ევროპელ პენსიონერებს. უეჭველია, კეზერაშვილის უკან მსხვილი ღლავები დგანან, რომლებიც ამაგრებენ და ამუშავებენ ამ ავაზაკთა ბანდის მეთაურს, რომელიც მიუხედავად მის მიმართ ფაქტებით გაჯერებული წაყენებული ბრალდებისა, დაუბრკოლებლად გადაადგილდება დასავლეთის დემოკრატიით ქებულ ქვეყნებში. თუმცა სულ ორიოდე თვეღა ანუ 5 ნოემბრამდე დარჩათ ამ დღისით-მზისით ევროპაში მოთამაშე ყაჩაღებს, რათა პასუხი აგონ ყველა იმ დანაშაულებისათვის, რაც მათ ჩაუდენიათ ღვთისა და ადამიანების წინაშე“, – აცხადებს ედიშერ გვენეტაძე.

**ანალიტიკოსი დავით ჩიხელიძე აცხადებს, რომ ჰელსინკის კომისია აღქმებს, საქართველოს პროკურატურა კი ფაქტებს ეყრდნობა, სადაც ფაქტებზე დაყრდნობით ითქვა, რომ პროკურატურამ ტრანსნაციონალური გამოძიების ფარგლებში, ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ადამიანი დააკავა.**

„გამოძიებამ ფაქტების ერთობლიობით, ქოლცენტრების საქმესთან კეზერაშვილის კავშირი გამოავლინა. ერთ-ერთმა დაკავებულმა კეზერაშვილს და მისი ოჯახის წევრებს 1 მილიონი დოლარი გადაურიცხა, რაც საბანკო ამონაწერით დასტურდება. ვერ და არ იცვლება „ნაციონალური მოძრაობის“ ბუნება, მათთვის მამოძრავებელ ძალას ადამიანების გაუბედურება და ძარცვა წარმოადგენს. ახლაც იმავეს აკეთებენ, რასაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს. საინტერესოა დასავლელი პარტნიორების მოსაზრება როგორია, დაგმობენ კეზერაშვილის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებას თუ უცხოელი პატრონების გამო დუმილს არჩევენ. ქოლ-ცენტრების საქმის თანამონაწილეა ქართული ოპოზიცია, რომელსაც კეზერაშვილი აფინანსებს, არ შეიძლება ქართულ პოლიტიკაში უცხოური, კრიმინალური გზით ნაშოვნი ფული ტრიალებდეს“, – აცხადებს დავით ჩიხელიძე.

**FOR.GE, თამთა ქარჩავა**

# ბიძინა ივანიშვილის ოჯახის ყველაზე მასშტაბური, საქველმოქმედო მეგაპროექტი

გვიმრავლოს!







## ირაკლი კობახიძე — ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკვე ჰყავს პირველი კურსდამთავრებულები!

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკვე ჰყავს პირველი კურსდამთავრებულები, რაც მხოლოდ დასაწყისია იმ ძალიან დიდი გზის, რომელმაც ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დიდი წინსვლა და წარმატებები უნდა მოუტანოს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU), პირველ კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ცერემონიაზე, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

მთავრობის მეთაურმა კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცა და აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე არის ისტორიული როგორც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის.

პრემიერმა ხაზი გაუსვა ქუთაისის, იმერეთის მხარის განსაკუთრებულ აკადემიურ ტრადიციებს და აღნიშნა, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაფუძნება ამ ტრადიციების ძალიან მნიშვნელოვანი გაგრძელებაა.

„უნივერსიტეტმა უკვე შექმნა მაღალი რეპუტაცია. მის შესახებ ძალიან მაღალ ტონალობაში შეიძლება უკვე საუბარი იმ მიღწევებიდან გამომდინარე, რომლებიც ამ 4 წლის განმავლობაში დაგროვდა. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისს და იმერეთის მხარეს აქვს განსაკუთრებული აკადემიური ტრადიციები, რითაც ჩვენი ქვეყანა ამაყობს. ძალიან დიდი ფესვები, დიდი ისტორია აქვს აკადემიურ ტრადიციებს ამ ქალაქში და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაფუძნება არის ამ ტრადიციების ძალიან მნიშვნელოვანი გაგრძელება.

4 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი თანდათანობით ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და დღეს ჩვენ ვხედავთ უნიკალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც აქ არის შექმნილი. რა თქმა უნდა, უნიკალურ ინფრასტრუქტურასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სასწავლო პროგრამები, რომლებიც თანდათანობით ვითარდება და ფართოვდება. წელს სრულდება დამატებით ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა — 27 000 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობები, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რესურსების გაფართოებას,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ ყურადღება გაამახვილა ადრონული თერაპიის ცენტრზე, რომელიც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე შენდება.

„ცალკე აღნიშვნის ღირსია ადრონული ცენტრი, რომელიც უნიკალურია თავისი დატვირთვითა და მნიშვნელობით და რომლის მშენებლობა 2026 წელს დასრულდება. ეს არის ძალიან რეზონანსული პროექტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას სახელს გაუთქვამს დასრულებისთანავე, როგორც კი დაიწყება ის კვლევითი პროგრამები, რომლებიც განხორციელდება ადრონული ცენტრის მიერ,“ — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებელს ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერის შექმნისთვის და ხაზი გაუსვა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის განსაკუთრებულ წვლილს უნივერსიტეტისთვის უმაღლესი ევროპული სტანდარტების ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაში.

პრემიერმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მასშტაბური გაფართოების გეგმებზეც ისაუბრა, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი დააფინანსებს.

„მქონდა საუბარი ბატონ ბიძინა ივანიშვილთან და არის ძალიან ამბიციური გეგმები, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის შემდგომ გაფართოებას. ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, რომ ვგეგმავთ უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის განვითარების სამომავლო 4-წლიანი გეგმის წარდგენას საზოგადოების წინაშე და ამ გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იქნება განათლების რეფორმის განხორციელება, — კონკრეტულად, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საუნივერსიტეტო რეფორმის განხორციელებაზე და აქ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს. ჩვენი ამოცანაა, რომ ქვეყანაში არსებობდეს 2 განსაკუთრებული საგანმანათლებლო კერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახით, რომლებსაც თანაბარი დატვირთვა ექნება ქვეყანაში განათლების მიწოდების თვალსაზრისით. ეს გულისხმობს იმას, რომ მასშტაბურად გაფართოვდება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, კიდევ უფრო მეტად, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს 4 წლისთავზე, 2028 წლისთვის, 30 000-მდე სტუდენტის მიღება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ. რა თქმა უნდა, ეს საჭიროებს შესაბამისი სასწავლო პროგრამების გაფართოებასაც, დამატებით კვალიფიციური პერსონალის მოწვევას ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში, და ეს გეგმა აუცილებლად განხორციელდება მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ამ გეგმის განხორციელება თავიდან ბოლომდე დაფინანსდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ, რისი მზაობაც მან პირადად დაადასტურა და ამისთვისაც მას განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რესურსების გაფართოება ხელს შეუწყობს, პირველ რიგში, ქალაქ ქუთაისის, შემდეგ კი, მთლიანად იმერეთის რეგიონისა და დასავლეთ საქართველოს განვითარებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალ სიცოცხლეს შეიძენს როგორც ქალაქი ქუთაისი, ასევე მთლიანად ეს რეგიონი და კიდევ უფრო მეტად განვითარდება ზოგადად დასავლეთ საქართველო, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის საერთო განვითარებისთვის.

მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის დამფუძნებელს, თითოეულ იმ ადამიანს, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი ამ უნივერსიტეტის განვითარებაში, მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მენეჯმენტს და მივულოცო თითოეულ კურსდამთავრებულს. ეს არის თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი დღე. დარწმუნებული ვარ, ეს არის თქვენი კარიერული წინსვლის ძალიან კარგი დასაწყისი და ყველას მინდა ძალიან დიდი წარმატებები გისურვოთ სამომავლო ასპარეზზე კარიერასა და პირად ცხოვრებაში,“ — განაცხადა პრემიერმა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში (KIU) პირველ კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცეს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა,** განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გიორგი ამილახვარმა** და თბილისის მერმა **კახა კალაძემ.**

ღონისძიებაზე, რომელსაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დამსწრე საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **გიორგი ხუბუამ,** მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ემერიტუს პრეზიდენტმა, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, პროფესორმა **ვოლფგანგ ჰერმანმა,** გერმანული ტრანსნაციონალური საინჟინრო და ტექნოლოგიური კომპანია „ბოშის‘‘ მომავლის კვლევისა და ტექნოლოგიების სტრატეგიის ვიცე-პრეზიდენტმა, დოქტორმა **ანდრეი ჰეინკემ,** ევროპის კვლევითი უნივერსიტეტების ლიგის (LERU) გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა **კურტ დეკეტელარემ,** ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჩხეტიანმა** და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა.

ღონისძიების დაწყებამდე სტუმრებმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) ტერიტორიაზე აშენებული ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი აკადემიური კორპუსი დაათვალიერეს. ექვსსართულიან, 27.000 კვ.მ. ფართობის მქონე უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საგანმანათლებლო კორპუსში განთავსებულია საერთაშორისო სტანდარტების სალექციო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული ოფისები, სამკითხველო დარბაზები.

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო მეგაპროექტია, რომლის დაფუძნების იდეა ბიძინა ივანიშვილსა და მის ოჯახს ეკუთვნის. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ უნივერსიტეტის განვითარების მიზნით, ერთი მილიარდი ევროს მოცულობის ინვესტიციას ახორციელებს.**

**6.09.2024**

# „აია სოფიას ტაძრის აღმშენებლობა“



**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნის – „აია სოფიას ტაძრის აღმშენებლობა“ – პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგმა“.**

მათივე ცნობით, პრეზენტაციას ესწრებოდნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი **თეა წულუკიანი,** პროექტის ინიციატორი, არქიტექტორ-რესტავრატორი **ტარიელ კიკაროიძე,** თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი **ყარამან ქუთათელაძე,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგის“ დირექტორი **შორენა შავერდაშვილი,** მთარგმნელი **გვანცა კოპლატაძე,** ბიზანტინოლოგი და მკვლევარი **ოლგა ბერიძე,** სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, პროფესორები და არქიტექტურის სფეროს წარმომადგენლები.

„როგორც ცნობილია, 2022 წლიდან კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით დაიწყო იშვიათობად ქცეული წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ხოლო საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობისა და პროფესიონალთა საჭიროების გათვალისწინებით დაიბეჭდა ეს მცირე მოცულობის ფრიად საჭირო წიგნი.

წიგნში შესულია აია სოფიას ტაძრის აღმშენებლობის თაობაზე არსებული მეცხრე საუკუნით დათარიღებული ტრაქტატის ორი რედაქცია: პირველი – მეთორმეტე საუკუნეში ბერძნულიდან ძველ ქართულ ენაზე თარგმნილი, რომელიც მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემულია **ოლგა ბერიძის** მიერ და მეორე – ტრაქტატის თანამედროვე ქართულ ენაზე ბერძნულიდან ნათარგმნი ვერსია, რომელიც ბიზანტინოლოგმა **გვანცა კოპლატაძემ** თარგმნა. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია საქართველოს დამსახურებული არქიტექტორ-რესტავრატორი **ტარიელ კიკაროიძე.**

ამრიგად, ჩვენ უკვე გვაქვს წმინდა სოფიას ტაძრის აღმშენებლობის შესახებ არსებული ტექსტის ორი რედაქცია: პირველი – რვაასი წლის წინანდელი, მეორე – ჩვენი დროისა. ამ ორი რედაქციის თანაარსებობა ერთ წიგნაკში (დაიბეჭდა 500 ეგზემპლარი) მნიშვნელოვანი საჩუქარია დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის.

აია სოფიას ტაძრის აღმშენებლობის ქრონიკები მნიშვნელოვანია ძველი ქართული სამშენებლო ტერმინების გაცოცხლებისა და სამშენებლო მასალების დამზადება-მოხმარებისთვის, რაც მეტად საჭიროა მატერიალური კულტურის ძეგლთა კონსერვაცია-რესტავრაციის კვლევისა და კონსერვაციისთვის.

ძველმა ქართულმა ხუროთმოძღვრებამ დიდ მხატვრულ სიმწიფეს მიაღწია შუა საუკუნეების დასავლეთისა და წინა აღმოსავლეთის ხალხთა ხუროთმოძღვრებასთან ურთიერთობით. სხვა მტკიცებულებებთან ერთად ამაზე მეტყველებს მეთორმეტე საუკუნეში ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი აია სოფიას ტაძრის აშენების ბიზანტიური ტრაქტატი. შუა საუკუნეებში ამგვარი სპეციფიკური ხასიათის ნაშრომებთან ზიარება მართლაც მაღალი რენესანსული კულტურის ქვეყანას შეეძლო, ქვეყანას, სადაც დაიბადა არაერთი დიდი ხუროთმოძღვარი: საკოცარი, მორჩაისძე, არსაკიძე, სწორუპოვარი მცხეთის ჯვრის უსახელო არქიტექტორი. მათ უნივერსალურ განსწავლულობაზე მეტყველებს კუმურდო, იშხანი, სვეტიცხოველი, კლასიკური ხელოვნების ნიმუში – მცხეთის ჯვარი.

ეჭვგარეშეა, რომ სამშენებლო ხელოვნების ტრაქტატების გაცნობა ამდიდრებდა ემპირიულ გამოცდილებას. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია მრავალმხრივ საინტერესო ტრაქტატმა სახელგანთქმული აია სოფიას შესახებ, რომლის ხუროთმოძღვრული ღირსებებიც ჩვენში ცნობილია თანადროულ და მის ბადალ მცხეთის ჯვართან მიმართებითაც“, – წერია ინფორმაციაში.







# ალავერდზე აღსამართი ჯვრების ჩამოსხმა დასრულდა



**ალავერდის საკათედრო ტაძრის გუმბათსა და სამრეკლოზე აღსამართი ჯვრების ჩამოსხმის პროცესი დასრულებულია.**

ინფორმაციას კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

პარალელურად – დასრულდა კარიბჭე-სამრეკლოზე ანტისეისმური სარტყლის მონტაჟი და ჯვრის დასამაგრებლად შესაბამისი კონსტრუქციის მოწყობა. გრძელდება წმ. გიორგის სახელობის ტაძრის გუმბათზე საპროექტო სამუშაოები.

უახლოეს მომავალში იგეგმება ჯვრის კურთხევა და კარიბჭე-სამრეკლოს გუმბათზე აღმართვა.

შეგახსენებთ, რომ 25 ივნისის მომხდარმა სტიქიამ ალავერდის ტაძარი საშინლად დააზიანა, დაზიანდა საეპისკოპოსო სახლიც.

როგორც ცნობილია, 26 ივნისს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი ალავერდში ჩავიდა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორ ნიკოლოზ აზნაურაშვილთან ერთად და სტიქიის შედეგად შექმნილ მდგომარეობას გაეცნო.





7 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სტიქიის შედეგად დაზიანებულ ალავერდის სამონასტრო კომპლექსში არსებულ ვითარებას გაეცნო. საქართველოს პრემიერ-მინისტრს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ აზნაურაშვილმა და აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა“.

# „ევროპა ნოსტრა“ ცისკარაულის კოშკის აღდგენას პრესტიჟული ჯილდოთი იწყებს...

**პროექტმა „მოქალაქეთა მიერ ცისკარაულების კოშკის (ახიელი, საქართველო) რეაბილიტაცია“ „ევროპა ნოსტრას“ პრესტიჟული ჯილდო – European Heritage Award / Europa Nostra Award 2024 მიიღო, რომლის ერთ-ერთ თანადამფინანსებელს ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ წარმოადგენს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.**

ცისკარაულების კოშკის რეაბილიტაცია ქართველი და ევროპელი პროფესიონალებისა და ახალგაზრდა მოხალისეების ერთობლივი შრომის შედეგია.

ხევსურეთში რუსული ჭურვის შედეგად დაზიანებული კოშკის აღდგენის ქართულმა პროექტმა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, კერძოდ **„მოქალაქეთა ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების“** კატეგორიაში ევროპის უმაღლესი ჯილდო მოიპოვა.

ამ მიღწევის აღსანიშნავად, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრეზიდენტის რეზიდენციაში საგანგებო ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნიკოლას სენდროვიჩი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული სხვა მოწვეული სტუმრები, რითაც ხაზი გაესვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობას.

30 მაისს ევროკომისიამ და „ევროპა ნოსტრამ“ ცისკარაულების კოშკის რეაბილიტაციის პროექტი 18 ქვეყნის მიერ წარდგენილ 26 გამორჩეულ გამარჯვებულ პროექტს შორის დაასახელა. კონფლიქტურ რეგიონებში მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ალიანსმა (ALIPH) პროექტს გრანტის სახით ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა. საქართველომ 157,290 აშშ დოლარი მიიღო, საიდანაც დაახლოებით 34,000 აშშ დოლარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციაში აქტიურად ჩართულ ადგილობრივ მოსახლეობას მოხმარდა.

„ევროპა ნოსტრას“ კონკურსის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში ჩართულ და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ონლაინ მისცენ ხმა პროექტებს, რომელთა შორის გამარჯვებული „საზოგადოების არჩევანის“ 2024 წლის პრიზს – 10,000 ევროს ოდენობის ფულად ჯილდოს მიიღებს. ხმის მიცემა 22 სექტემბრამდე გაგრძელდება“



# გონივრულად ვებრძოლოთ კლიმატის ცვლილებას

## სოლომონ პავლიაშვილმა ბაქოში კლიმატის გამჭვირვალობის შესახებ მაღალი დონის დიალოგში მიიღო მონაწილეობა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, აკადემიკოსმა სოლომონ პავლიაშვილმა ბაქოში კლიმატის გამჭვირვალობის შესახებ მაღალი დონის დიალოგში მიიღო მონაწილეობა.**

სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაქოში გამართული მაღალი დონის დიალოგი „**კლიმატის გამჭვირვალობის წინსვლა გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოში (FTF) საყოველთაო მონაწილეობის გზით**“ მიზნად ისახავდა გლობალური თანამშრომლობის გაძლიერებას კლიმატის გამჭვირვალობის საკითხებში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეებს შორის ნდობის გაზრდას, პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას კლიმატის ცვლილებებთან მიმართებით ანგარიშვალდებულების შესახებ და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.



სოლომონ პავლიაშვილმა სიტყვით გამოსვლის დროს საქართველოს კლიმატის პოლიტიკისა და საანგარიშო სისტემების განვითარებაში ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა გაეროს ჩარჩო კონვენციის (COP 29) პრეზიდენტს, სამდივნოს და საერთაშორისო პარტნიორებს.

**„ჩემი ქვეყნის სახელით მსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადო COP29-ის პრეზიდენტობას, სამდივნოს და ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს მათი მტკიცე მხარდაჭერისთვის საქართველოს კლიმატის პოლიტიკისა და საანგარიშო სისტემების განვითარებაში. ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, საქართველო გეგმავს ორწლიანი გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) წარდგენას ვადაზე ადრე.**

**ამ პერიოდის განმავლობაში ნათლად გამოვავლინეთ ჩვენი საანგარიშო სისტემების ძლიერი მხარეები, რომელთა გაზიარებაც შეგვიძლია ჩვენს კოლეგებთან, ასევე სუსტი მხარეები, სადაც საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა ჩვენი კლიმატის პოლიტიკის ანგარიშგების სიზუსტისა და სისრულის გასაუმჯობესებლად“, – აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.**

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში გლობალური კლიმატის გამჭვირვალობის პლატფორმა (BTP) ჩამოყალიბდა, რომლის მიზანიც დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის უზრუნველყოფა და განვითარებადი ქვეყნებისთვის BTR-ის მომზადებაში მხარდაჭერაა. ღონისძიებას 120-ზე მეტი ქვეყნის დელეგატი და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

# მთვარის დაბნელება თქვენს ცხოვრებას 180 გრადუსით შეცვლის...



**წლევანდელი მთვარის დაბნელება 18 სექტემბერს მოხდება და იმავე დღეს დაიწყება დაბნელების დერეფანი, რომელიც 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ასტროლოგები ამბობენ, რომ ადამიანები დაიწყებენ დაბნელების ენერგიის შეგრძნებას თარიღამდე 2 კვირით ადრე.**

**რა ხდის 2024 წლის მთვარის დაბნელებას უნიკალურს?**

**2024 წლის 18 სექტემბერს მთვარის დაბნელება მოხდება თევზების ნიშანში – ეს პირველად მოხდება, ამიტომ ადამიანები ისეთი ამოცანების წინაშე დგანან, რომლებიც ჯერ არ შესრულებულა. ასტროლოგები ამბობენ, რომ როდესაც მთვარის დაბნელება მოხდება, ის განსაზღვრავს მოქმედებების დიაპაზონს მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში. თევზების ენერგია ყველას საშუალებას მისცემს, აღმოაჩინოს მრავალი სიტუაციის ინტუიციური ხედვა, დაიწყოს სულიერი განვითარება და ნაკლებად მიბმული იყოს მატერიალურ ფასეულობებთან.**

**რისი გაკეთება შეგიძლიათ და არ შეგიძლიათ მთვარის დაბნელების დროს – პროგნოზი ზოდიაქოს ნიშნებისთვის**

### ვერძი

**ვერძისთვის** მნიშვნელოვანია, გაჩერდეს და იფიქროს იმაზე, თუ რა გააკეთეს, კარგი და ცუდი, წარსულში. ანალიზი დაგეხმარებათ, გაიგოთ ცხოვრების აზრი, იპოვოთ ახალი გზები და ამოცანები. **მთვარის დაბნელება იქნება დამოკიდებულებების, ცუდი ჩვევებისა და ტოქსიკური ურთიერთობებისგან თავის დაღწევის საწყისი წერტილი.** ასევე შეგიძლიათ გადაადგილდეთ, შეცვალოთ სამუშაოები, იპოვოთ ჰობი. შეიცვლება თქვენი პირადი ცხოვრება – ან კარგ პარტნიორს შეხვდებით, ან უბრალოდ დაემშვიდობებით თქვენს ახლანდელს, თუ ის თქვენს ბედში არ არის. დაბნელების პერიოდი დაგეხმარებათ, გათავისუფლდეთ შიშებისგან, რომლებიც ხელს გიშლით განვითარებაში.

### კურო

**კურო** იგრძნობს ძალების მოზღვავებას და საბოლოოდ დაინახავს თავისი შრომის შედეგებს. **ახალი, თუნდაც უცნობი მომავლისკენ მიმავალი გზები თქვენთვის ღია იქნება.** მთავარი სიტყვა, რასაც დაბნელება მოიტანს, არის „ცვლილება“. არ უნდა შეგეშინდეთ მათი, თქვენ უნდა სცადოთ და იმოქმედოთ, შემდეგ წარმატება გელით. ასევე მნიშვნელოვანი ნახტომი იქნება პირად ცხოვრებაში – მარტოხელა კურო დაიწყებს ურთიერთობას, ხოლო მათ, ვისაც უკვე ჰყავს წყვილი, შეუძლია ახალი დონის იმედი ჰქონდეს.

### ტყუპები

**ტყუპები** ცხოვრებაშიც იგრძნობენ ცვლილებებს, მაგრამ ისინი მხოლოდ ორ სფეროზე აისახება – **პროფესიულ საქმიანობასა და ოჯახურ ურთიერთობებზე.** მოისმინეთ შინაგან ხმას, რომელიც დაგეხმარებათ გაარკვიოთ, ხართ თუ არა იმ წერტილში, რაზეც ოცნებობდით – ცხოვრობთ თუ არა სწორ ადამიანთან, მუშაობთ თუ არა თქვენს საყვარელ საქმეზე. გარე გარემოებები ისე განვითარდება, რომ გადაწყვეტილებას მიიღებთ და ცხოვრებას აღარ გააჩერებთ.

### კირჩხიბი

**კირჩხიბებს** 2024 წლის მთვარის დაბნელება ჰპირდებათ სერიოზულ ტრანსფორმაციას მოგზაურობის კუთხით – თქვენ მოგიწევთ სხვაგვარად შეხედოთ თქვენს რწმენას. გზები ღია იქნება თქვენთვის. თუ ოცნებობდით, რომ ხალხს რაღაც ასწავლოთ, მაშინ 18 სექტემბრიდან ამისთვის ხელსაყრელი პერიოდი დადგება. ასევე მოემზადეთ ბევრი ახალი გაცნობისთვის – ეს ადამიანები დაგეხმარებიან, რომ სხვანაირად შეხედოთ საკუთარ თავს და მოიშოროთ სიამაყე. **მნიშვნელოვანია, შეწყვიტოთ ფიქრი, რომ თქვენ სხვებზე უკეთესი ხართ.**

### ლომი

**დაბნელების** დროს ლომები ფინანსური საქმეების ცენტრში იქნებიან. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ, მიიღოთ მემკვიდრეობა, დადოთ მომგებიანი კონტრაქტი, მიიღოთ კარგი სამუშაო ან მიიღოთ წვდომა პარტნიორის ფინანსებზე. ასევე იქნება უძრავი ქონების ყიდვის ან გაყიდვის, ან ბიზნესის გახსნის შესაძლებლობა. ყურადღება მიაქციეთ ფულთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებას – ეს არის თქვენთვის წარმატების გზა. **კარგი დროა ყოველგვარი დამოკიდებულებისგან თავის დასაღწევად.**

### ქალწული

**18 სექტემბრიდან** ქალწულს მოუწევს ადამიანებთან ურთიერთობა – ეს შეიძლება იყოს სასიყვარულო ურთიერთობები, მეგობრობა ან საქმიანი. **მთვარის დაბნელება იქნება ამოსავალი წერტილი აქტუალური საკითხების გადასაჭრელად.** ადამიანებთან კომუნიკაციის საშუალებით თქვენ შეძლებთ გაიგოთ ახალი ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. ასევე ღირს დამკვირვებლის პოზიციიდან გამოსვლა და უფრო აქტიური როლის აღება, რათა ცხოვრებაში ცვლილებები უფრო სწრაფად მოხდეს.

### სასწორი

**ასტროლოგები** სასწორებს ურჩევენ, გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას – ფიზიკურსაც და გონებრივსაც. 18 სექტემბერს დაბნელება გამოავლენს ყველა იმ პრობლემას, რაც არსებობს. ცვლილებები გავლენას მოახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაზეც – გექნებათ ძალა შეცვალოთ სიტუაცია, ეს შეიძლება იყოს მცირე საშინაო საქმეები ან სერიოზული ნაბიჯები განქორწინებამდე. **სამსახურში, სასწორის ნიშნის ბევრი წარმომადგენელი მიიღებს დაწინაურებას ან საინტერესო შეთავაზებას მიმდინარეზე ბევრად უკეთესს.**

### ღრიანკალი

**ღრიანკალი** მთვარის დაბნელება გავლენას მოახდენს ურთიერთობებსა და შემოქმედებით სფეროებზე. თუ შვილები გყავთ, მაშინ 18 სექტემბრიდან მნიშვნელოვანია მათთვის დიდი ყურადღების მიქცევა, ეს დაგეხმარებათ მოაგვაროთ პრობლემური საკითხები საკუთარ თავში. **შემოქმედებითი ღრიანკალისთვის ხელსაყრელი პერიოდი დადგება შესაძლებლობების განვითარებისთვის** – შესაძლებელია მოგებაც. ასტროლოგები ამბობენ, რომ 18 სექტემბრიდან ღრიანკალს შეუძლია გაიცნოს მისთვის განკუთვნილი ადამიანი.

### მშვილდოსანი

**მშვილდოსანისთვის** სახლის, უძრავი ქონებისა და საცხოვრებელი ადგილის საკითხები ზედაპირზე ამოვა. ეს შეიძლება იყოს სხვა სახლში, ქალაქში ან ქვეყანაში გადასვლა, რემონტის დაწყება, სახლის ან ბინის გაყიდვა. **მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ დაბნელება მხოლოდ აქტივობის დასაწყისი იქნება სწორი მიმართულებით** – თავად მოვლენა მოხდება მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში, მშვილდოსნებმა ასევე უნდა გააუმჯობესონ ურთიერთობები ოჯახში ან, სულ მცირე, მოაგვარონ მტკივნეული სიტუაციები.

### თხის რქა

**18 სექტემბრიდან** თხის რქებს შეუძლიათ მთელი ენერგია სწავლაზე, ახალი ცოდნის მიღებასა და სასარგებლო უნარების შეძენაზე მიმართონ. შეიძლება იყოს მივლინებები, გადაადგილება, მანქანის შეძენის ან უფრო ახალი მოდელის შეცვლის სურვილი. დიდია ძმებთან ან დებთან შერიგების ალბათობაც, მაგრამ **ზოგიერთ ნაცნობთან და მეგობრებთან ურთიერთობის დასასრულს წინასწარმეტყველებენ.**

### მერწყული

**მერწყულისთვის** ასტროლოგია ახალი ტიპის საქმიანობის ან პარალელური ბიზნესის გაჩენას გვპირდება, რომლის დახმარებითაც მათი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. 18 სექტემბრიდან მნიშვნელოვანია გახდეთ რაც შეიძლება დამოუკიდებლები ფულის მხრივ და თავი დააღწიოთ ვალებს - დახურეთ ყველა სესხი, დააბრუნეთ ფინანსები, დაშორდით პარტნიორებს, რომლებიც იღებენ და არ გასცემენ – **დარწმუნებული იყავით, რომ არაფერი ვალი არ გაქვთ. თუ ამას მოახერხებთ, დიდი მომავალი გელით.**

### თევზი

**თევზებისთვის** ეს 2024 წლის მთვარის დაბნელება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ეს თქვენს ნიშანში მოხდება. 18 სექტემბრიდან მოგიწევთ მოიხსნათ ყველა ნიღაბი, გამოჩნდეთ საკუთარი თავის და სხვების წინაშე თქვენი ნამდვილი სახით. **თქვენ უნდა დაიწყოთ თქვენი ინტერესების სხვა ადამიანების სურვილებზე მაღლა დაყენება, შეწყვიტოთ კომფორტულად ყოფნა.** როგორც კი გათავისუფლდებით მტკივნეული სიტუაციებისა და გარემოებებისგან, მაშინვე გაუხსნით ახალ და უფრო სასიამოვნო მოვლენებს კარს.



# მედიცინის რეფორმატორი

## აკადემიკოს ფრიდონ თოდუას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

**ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე აკადემიკოს ფრიდონ თოდუას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.**

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მიხეილ სარჯველაძემ, საქართველოში, თანამედროვე მედიცინის განვითარებაში ფრიდონ თოდუას ღვაწლზე ისაუბრა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ აკადემიკოსმა, ქართულ ჯანდაცვის სისტემას სახელი გაუთქვა და თანამედროვე მიდგომები და მკურნალობა ქართველი პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

სამეცნიერო კონფერენციაზე „ტექნოლოგიები XXI საუკუნის მედიცინაში“ – მოხსენებები გაკეთდა ისეთ საინტერესო თემებზე, როგორიცაა: „თანამედროვე კომპიუტერული ტომოგრაფიის შესაძლებლობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დროს,“ „რადიოლოგიური ბიომარკერების როლი ნერვული სისტემის დაავადებების კვლევაში,“ „კაროტიდული ათეროსკლეროზის თანამედროვე ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა“ და სხვა.

ფრიდონ თოდუას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს რადიოლოგიური სკოლის განვითარებაში. მან დააფუძნა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია. იგი იყო მედიცინაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი მიღწევების, რადიოლოგიური კვლევის ახალი დიაგნოსტიკური მეთოდების დანერგვის ინიციატორი.

ფრიდონ თოდუა იყო პირველი, ვინც ყოფილ საბჭოთა კავშირში კომპიუტერული ტომოგრაფიის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი და გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი განყოფილების ჩამოყალიბებასა და კადრების მომზადებაში. მან პირველმა შეიმუშავა ე.წ. „უსისხლო“ მანიპულაციები სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისთვის და დანერგა ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები კომპიუტერული ტომოგრაფიის და ულტრაბგერითი კონტროლით, რაც შესაძლებლობას იძლევა, უარი ითქვას რთულ ოპერაციულ ჩარევებზე. მის მიერ შემუშავებული მეთოდები ფართოდ დაინერგა მსოფლიოს მრავალ კლინიკაში.

თოდუას კლინიკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეები თამარ გაბუნია და თეა გიორგაძე, აკადემიკოსები, მეცნიერები და 250-მდე საქართველოს წამყვანი ექიმი ესწრებოდნენ.

# დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მშენებლობისთვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთები ამოიწურა!



**თბილისში, სამშენებლო თვალსაზრისით, მიწის ნაკვეთების დეფიციტია. განსაკუთრებით პრობლემაა დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში. საინვესტიციო თვალსაზრისით მოთხოვნა მზარდია, მაგრამ ბაზარს მიწოდების მხრივ პრობლემა აქვს.**

კომპანია „მოდე რეალ ესთეითის“ დამფუძნებელი ნატო მოდებაძე ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთები ძალიან დეფიციტურია ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში. ეს კი სხვადასხვა ფაქტორზე ახდენს გავლენას და მათ შორის უძრავი ქონების რეალიზაციაზე.

**„ბინების გაყიდვამ იკლო, განსაკუთრებით ეს მაისში შეინიშნებოდა, თუმცა ყველაფერი ფასთა კლებაზე არ ასახულა, რადგან გაყიდული ბინების რაოდენობა ფასთან კავშირში არ არის. საქმე ისაა, რომ მიწის ნაკვეთები ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ძალიან დეფიციტურია. შესაბამისად, წაგებაზე ვერავინ იმუშავებს, ეს ლოგიკურია.**

**რაც შეეხება ძველ აშენებულ ბინებს, აქ ფასი ცოტა დაკლებულია, რადგან მოთხოვნა ახალ კორპუსებზეა. ესეც საბანკო პროდუქტების გამო: როდესაც ადამიანი ყიდულობს ახალ აშენებულ სახლს, მას მოჰყვება საბანკო გარანტიები – მშენებლობის დასრულებასთან, ჩაბარებასთან დაკავშირებით და ა.შ. ძველი კორპუსის შემთხვევაში მას პირდაპირ უწევს თანხის გადახდა, აქედან გამომდინარე ნაკლებად ხელმისაწვდომია და ბანკებიც ნაკლებად აფასებენ ძველ ბინებს. შესაბამისად, ძველი აშენებული ბინები ოდნავ, მაგრამ მაინც უმნიშვნელოდ გაიაფდა“, – განაცხადა მან.**

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ყველაზე დიდი მოთხოვნა სამშენებლო მიწებზეა, რომელიც ქალაქში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა. საინვესტიციო მიწების შეძენის მსურველებს შორის უცხოელებიც არიან. უძრავი ქონების კომპანია „realtor.ge“-ს გენერალური მენეჯერის ანა თაკვარის ინფორმაციით, ყველაზე მეტ ასეთ მიწას საქართველოში რუსები, ებრაელები და თურქები ყიდულობენ.

**„თბილისში მოთხოვნა მაღალი რჩება საინვესტიციო მიწებზე, რომლის შეძენითაც მშენებლობის დაწყების მსურველები არიან დაინტერესებული. მოცემულობა არის ის, რომ ასეთი მიწები თბილისის მასშტაბით, თითქმის აღარაა დარჩენილი. არაერთი უცხოელი ინვესტორი გვყავს, რომელთაც საცხოვრებელი კორპუსების აშენების მიზნით ახლაც სურთ მიწის შეძენა.**

**თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი მოთხოვნა არის ბათუმში და მის შემოგარენში. მოთხოვნა საკმაოდ მზარდია. ბათუმშიც უკვე გართულებულია საკარმიდამო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პოვნა.**

**10 ინვესტორიდან 3 არის უცხოელი, რომელსაც სურს მიწის ყიდვა. მოთხოვნის კუთხით, პირველ ადგილზე რუსები არიან. არიან ებრაელებიც, თუმცა ომიდან გამომდინარე, გადმორიცხვებზე გარკვეული შეფერხებები აქვთ. ასევე თურქების მხრიდან არის მოთხოვნა ბათუმსა და მის მახლობელ ტერიტორიებზე“, – აღნიშნა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ანა თაკვარმა.**

ფასების მხრივ კი გრძელვადიანად მკვეთრი ზრდის შემდეგ, წელს სტაბილიზაცია შეინიშნება.

**„სხვა რეგიონების შემთხვევაში, მოთხოვნა ფაქტობრივად, არ არის. გვქონდა მცდელობა, რომ ქუთაისში, დასავლეთ საქართველოში, გვყოლოდა წარმომადგენლები, მაგრამ რეგიონებში მოთხოვნა არ არის. იქ მიწების ძირითადი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და უცხოელებს კანონით შეზღუდული აქვთ მათი შეძენა.**

**რაც შეეხება ფასებს, მკვეთრი მატება – 30-40%-იანი იყო უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, დაახლოებით 2 წლის განმავლობაში. ახლა ფასები ნელ-ნელა სტაბილურდება“, – განაცხადა ანა თაკვარმა.**

**ბექა დანელია**

# საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 31 ახალი სახანძრო ავტომანქანა შეიძინა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა თანამედროვე ევროპული სტანდარტების „ივეკო მაგირუსის“ 31 ახალი სახანძრო ავტომანქანა შეიძინა, რომელთა გადმოცემა ეტაპობრივად განხორციელდება.**

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ მღებრიშვილი პირადად იმყოფებოდა კომპანია „მაგირუსის“ ქარხანაში და ახალი სახანძრო მანქანის შესაძლებლობებს ადგილზე გაეცნო.

სახანძრო მანქანები, რომელიც სპეციალურად საქართველოსთვის არის შექმნილი, ქვეყნის მასშტაბით რეგიონებში გადანაწილდება. ახალი, მაღალი გამავლობის სახანძრო ავტომანქანები განკუთვნილია ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ყველა შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად განაგრძობს სახანძრო-სამაშველო ავტოპარკის განახლებას. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია აღჭურვილობისა და სპეცტექნიკის განახლების არაერთი პროექტი.






# გაბიტაშვილის პირველი მნიშვნელოვანი საქმე

## პროკურატურამ კეზერაშვილის ქოლ-ცენტრებთან კავშირი დაადასტურა

**შაბათს, 7 სექტემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე ბრიფინგი გამართა და სკანდალური ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოაქვეყნა.**

ირკვევა, რომ საქართველოში თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს გახსნილი ჰქონდა ოფისი, საიდანაც ევროპელ პენსიონერებს ძარცვავდა. ამის შესახებ ინფორმაცია აქამდეც არსებობდა, მაგრამ ამჯერად საქმეში მეტი კონკრეტიკა გაჩნდა. კერძოდ, ირკვევა რომ მოპარული ფული კეზერაშვილის და მისი ოჯახის წევრების ანგარიშებზე ირიცხებოდა. ეს ფაქტობრივი გარემოება უკვე სერიოზულად ცვლის არსებულ ვითარებას. თუ აქამდე კეზერაშვილის კვალზე აბსტრაქტულად საუბრობდნენ, ახლა მტკიცებულებები ხელის გულზე დევს. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ გამოძიებას გენერალური პროკურატურა ევროპელ სამართალდამცველებთან ერთად იძიებს, დიდი შანსია, კეზერაშვილის ყელზე ყულფი უფრო და უფრო შევიწროვდეს და მას მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა მოუხდეს.

# უცხოელი ქურდბაცაცები თბილისში დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის ორი მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული ი. ჰ. და ამავე წელს დაბადებული ლ. ი. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.**

„დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი. ჰ.-მ თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბინაში ქურდობის მიზნით უკანონოდ შეაღწია, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოქალაქის კუთვნილ ნივთებს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა ლ.ი.-მ თბილისში ერთ-ერთ სახლში ქურდობის მცდელობის მიზნით შეაღწია, თუმცა განზრახვა ვერ განახორციელა. მან შემდეგ სხვა მოქალაქის კუთვნილი ავტომობილი გაქურდა. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ ბრალდებულის სახით უკრაინის ორი მოქალაქე დააკავა.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ნაქურდალი ნივთები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით და 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით“ მიმდინარეობს.

# ზუგდიდში მე-8 სართულიდან მუშა ჩამოვარდა და დაიღუპა

**7 სექტემბერს უბედური შემთხვევა მოხდა ზუგდიდში. ცოტნე დადიანის ქუჩაზე, 9-სართულიანი კორპუსის მე-8 სართულიდან მუშა ჩამოვარდა და გარდაიცვალა.**

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი თურქეთის მოქალაქეა.

თვითმხილველების ცნობით, მამაკაცი შენობის მოსაპირკეთებელ სამუშაოებს ასრულებდა, რა დროსაც ფეხი დაუცურდა და სიმაღლიდან გადმოვარდა.

# 4 დღის წინ დაკარგული კაცის ცხედარი მარნეულში იპოვეს

**დასახიჩრებული ცხედარი, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ აზიზაქენდში იპოვეს, იდენტიფიცირებულია. ის მეზობელი სოფლიდან, გაჯისქენდიდან 4 დღის წინ დაკარგულ 55 წლამდე კაცს ეკუთვნის.**

გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ის 4 დღის წინ გავიდა სახლიდან, რის შემდეგაც მისი კვალი დაიკარგა.

არსებული ინფორმაციით, ნაპოვნ ცხედარს ხელები მოკვეთილი ჰქონდა. რა გახდა ცხედრის დასახიჩრების მიზეზი ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს. ცხედარი უკვე გადაყვანილია ექსპერტიზაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

◉ სპექტაკლი ვაკეში

# ერთა ლიგაში – ქართული ფეხბურთით!



**ჩვენ გვყავს ეროვნული ნაკრები, რომელიც ტაქტიკურად გამართულ ქართულ ფეხბურთს თამაშობს.**

ჩვენ გვყავს ფრანგი მწვრთნელის – **ვილი სანიოლის** დამოძღვრილი თანამოაზრეთა გუნდი, რომელსაც დამსახურებული წარმატებების აღსანიშნავად მოზეიმე გულშემატკივარი დედაქალაქის ქუჩებში გამოჰყავს.

ჩვენ გვყავს ჯვაროსნები, რომლებიც სახელმწიფოსა და, კონკრეტულად, ფეხბურთის ფედერაციის მოჭარბებულ ყურადღებას პასუხისმგებლობის გაზრდილი გრძნობით პასუხობენ და, ყოველგვარ პოლიტიკურ ინტრიგებზე ამაღლებულნი, თავიანთ საქმეს სამაგალითოდ აკეთებენ.

**უეფას ერთა ლიგა**
**„ბ“ დივიზიონი**
**საქართველო – ჩეხეთი 4:1**
**(პირველი ტაიმი – 1:0)**
**გოლები: კვარაცხელია (პენალტით), ჩაკვეტაძე, მიქაუტაძე, ქოჩორაშვილი.**
**საქართველო: მამარდაშვილი, კაკაბაძე, დვალი, კაშია, გველესიანი, ლოჩოშვილი, კიტეიშვილი, ქოჩორაშვილი, ჩაკვეტაძე, კვარაცხელია, მიქაუტაძე. ითამაშეს აგრეთვე დავითაშვილმა, ზივზივაძემ, გოჩოლეიშვილმა და დებიუტანტებმა ნონიკაშვილმა და გოგლიჩიძემ.**

ამიტომ ბუნებრივია იმ ავად გასახსენებელ საღამოსთან პარალელის გავლება და სიმბოლურია, რომ დღევანდელმა თაობამ გარკვეულწილად სრულფასოვანი რევანში აიღო იმ ფორმაციის არანაკლებ ნიჭიერ თანამემამულეთა ნაცვლად.

რაც შეეხება ვაკეში მასპინძელთა მიერ დანთებულ ცეცხლს, საწყისი 20 წუთი მეტოქეთა შორის 22 ივნისს ჰამბურგში ევრო – 2024-ზე ჩატარებული ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა, სადაც გაძლებაზე ვიყავით, ვერაფრით ამოგვექონდა ბურთი საკუთარი საჯარიმოდან და უთავბოლოდ ვიგერიებდით ათლეტურ სტუმართა სწორხაზოვან იერიშებს.

საბედნიეროდ, ბიჭები მალე მოეგნენ გონს, თანდათან მინდვრის ცენტრზე დაამყარეს კონტროლი და ერთ-ერთი პირველი საპასუხო ჩხვლეტა კვარამ მოპოვებული პენალტითა და ანგარიშის გახსნით დააგვირგვინა.

ის, რომ ჩვენი კოზირი ინდივიდუალური ოსტატობაა, თვალნათლივ დაადასტურა მეორე ტაიმმა, რომელსაც თამამად შეგვიძლია გიორგობა ვუწოდოთ. დიახ, უდავოდ საუკეთესო სოლისტის ჩაკვეტაძის ლიდერობით სხვაობა კატასტროფული სწორედ გიორგი ჩაკვეტაძემ, გიორგი მიქაუტაძემ და გიორგი ქოჩორაშვილმაგახადეს, თანაც ჩაკვემ ისეთი კომბინაციები ხლართა, ძველი გიო გაგვახსენა. დავძენთ, რომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ დასკვნითი აკორდი, როცა კლასიკური კონტრჩხვლეტა ფილიგრანული გადაცემით დასრულდა, წინა შემთხვევაში კი საკლუბო გოლებს მოწყურებულ მიქაუტაძეს დიდოსტატური ასისტენტობა ლოჩოშვილმა გაუწია.







ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

მიხეილ მესხის სტადიონზე 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გამართული მატჩი 7 სექტემბერს, ანუ იმ დღეს დაემთხვა, როცა ზუსტად 30 წლის წინათ, ანუ 1994 წელს მაშინდელმა სამფეროვნებმა ისტორიაში პირველი ოფიციალური შესარჩევი შეხვედრა ქომაგებით გადაჭედილ ბორის პაიჭაძის სახელობის დინამოს სარბიელზე მოლდოვასთან სენსაციურად დათმეს – 0:1,



და ბოლოს: ჩვეული სიმშვიდით უმაგრებდა პარტნიორებს ზურგს მამარდაშვილი, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში გვიხსნა და ვერც გაშვებულ ბურთში დავადანაშაულებთ მას, რადგან პირველი დარტყმა ამჯერადაც მოიგერია და დამატებაზე მცველებმა დააღალატეს.

ასე რომ, განვლილ ზაფხულს გერმანიაში მოხვეჭილ ავტორიტეტს საფრთხე არ ემუქრება, ჯგუფის მეორე გამოწვევაში კი ხვალ უკრაინის მძლეველ ალბანეთს – 2:1უნდა გავუმკლავდეთ ღირსეულად ტირანაში.

◉ ელიტაში

## ფეხი აუწყვეს

**ქალთა ჩემპიონთა ლიგის მორიგ მატჩში „ლანჩხუთმა“ წყალტუბოს ტექნიკურ ცენტრში ბაქოს „ნეფთჩი“ 2:1 დაამარცხა.**

ანგარიში მე-10 წუთზე ლანჩხუთელმა ლესლი რამირესმა გახსნა. 53-ზე შეჰრიბან დულეკმა გაათანაბრა, ორ წუთში კი ეთერ სულაშვილმა გამარჯვების ბურთი გაიტანა – 2:1.




◉ პარიზი – 2024

## ქედს ვიხრით

**ქართული სპორტის რენესანსი პარიზის მე-17 პარალიმპიადაზეც დამშვენდა, სადაც 6 სახეობაში 14-მა ჯვაროსანმა იასპარეზა და მათგან ნახევარზე მეტი სამშობლოში მედლით დაბრუნდა! მათ, ისევე როგორც ამასწინანდელი თამაშების გმირებს, გულთბილად მიესალმნენ მიხეილ მესხის სტადიონზე, სადაც საქართველო – ჩეხეთის მატჩის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.**

რაც შეეხება საფრანგეთის დედაქალაქში გადატანილი ბატალიების დასკვნით დღეებს, თავი გამორჩეულად ძიუდოისტებმა გამოიჩინეს, რომელთა მონაგარიც 3 ჯილდოთი გამდიდრდა.

ჯერ საპატიო კვარცხლბეკზე ცოლ-ქმარ ქალდანების ოჯახმა შეაბიჯა (**გიორგი** – ვერცხლი, **ინა** – ბრინჯაო), ხოლო შემდეგ **რევაზ ჩიქოიძის** ვერცხლით გავიხარეთ და ჩვენებურთა საერთო ნადავლმა 8 მედალს მიაღწია (1, 4, 3).




◉ ტატამზე

## ველით ოქროს

**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მიმდინარე ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ალექსანდრე ლოლაძემ ვერცხლი, ხოლო ლუკა ჯავახიშვილმა ბრინჯაო მოიპოვა (ორივე – 81 კგ).**

ამ დროისთვის საქართველოს აქტივში ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე სამი მედალია – ალექსანდრე და ნინო ლოლაძეებმა ვერცხლი მოიხვეჭეს, ხოლო ლუკა ჯავახიშვილმა – ბრინჯაო.

◉ ხალიჩაზე

## ორი მედლით



**ესპანეთში გამართულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ორი მედალი მოიპოვეს. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ თორნიკე მიქელაძე (77 კგ) და აჩიკო ბოლქვაძე (87 კგ).**

თორნიკე მიქელაძემ შვედი მეტოქე ანგარიშით 5:3 დაამარცხა, აჩიკო ბოლქვაძემ კი რუმინელ სპორტსმენს ანგარიშით 10:0 სძლია.

ამ მსოფლიოს პირველობაზე საქართველომ გუნდურ ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავა.

დავძენთ, რომ თავისუფალ სტილში ერთადერთი ბრინჯაო 57 კილოში **ლუკა ღვინჯილიამ** მოგვიტანა.

◉ ვარსკვლავთცვენა

**ზაგრებში ლეგენდარული ხორვატი კალათბურთელის დრაჟენ პეტროვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვარსკვლავთა მატჩი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს ხორვატეთისა და ევროპის მოქმედი და ყოფილი ვარსკვლავები შეხვდნენ. გუნდს, რომელსაც „დრაჟენი“ ერქვა და ევროპის ვარსკვლავები თამაშობდნენ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, იტალიური ვირტუს ბოლონიას ფორვარდი თორნიკე შენგელია კაპიტნობდა.**

სანახაობა ევროპელი ვარსკვლავების გუნდმა „დრაჟენმა“ 110:107 მოიგო. გამარჯვების ბურთი მადრიდის რეალის კალათბურთელმა ჯანან მუსამ ჩააგდო. ქართველმა ფორვარდმა 13 ქულა, 6 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მიწვეულ სტუმართა შორის იყო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ვლადიმერ ბოისა.**




## დიდი პატივი

შოუს მთავარი ორგანიზატორი გახლდათ ალექსანდარ პეტროვიჩი, დრაჟენის ძმა, რომელიც ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია და წლეულს სამხრეთამერიკელები ჯერ ოლიმპიადაზე, შემდეგ კი პარიზული ტურნირის მეოთხედფინალში გაიყვანა. აკო პეტროვიჩი საკალათბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მისი ტრაგიკულად დაღუპული ძმის, ლეგენდარული დრაჟენ პეტროვიჩის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ შეხვედრაზე მსოფლიო ვარსკვლავები შეიკრიბნენ. სწორედ ასეთ მატჩში მონაწილე გუნდს, სახელად „დრაჟენი“, კაპიტნობდა თოკო შენგელია, რაც ქართველი კალათბურთელის დიდ ავტორიტეტზე და გამორჩეულ პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გარდაბანი, ყოფილი წყალკანალის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 81.15.01.563)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 44245.43 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 9 სექტემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 20 სექტემბერი, 14:45 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101761724;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1017617

**6. მოვალე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101761724; ლოტის ნომერი: 1017617).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი მამუჩარაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი მამუჩარაშვილი (პ/ნ 08001007623), ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122 (საკადასტრო კოდი: 50.11.37.026)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14381.45 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 9 სექტემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 20 სექტემბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101761024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1017610

**6. მოვალე:** გიორგი მამუჩარაშვილი (პ/ნ 08001007623), ახმეტა, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩა 122

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101761024; ლოტის ნომერი: 1017610).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ამბერკი გრიგალაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამბერკი გრიგალაშვილი (პ/ნ 57001030837), ხაშური, ბაქოს ქ. №52

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ხაშური, ბაქოს ქ. №52 (საკადასტრო კოდი: 69.03.60.728)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15310.6 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 9 სექტემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 20 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101760424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1017604

**6. მოვალე:** ამბერკი გრიგალაშვილი (პ/ნ 57001030837), ხაშური, ბაქოს ქ. №52

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101760424; ლოტის ნომერი: 1017604).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 სექტემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ელხან ალიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელხან ალიევი (პ/ნ 28001012470), მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5 (საკადასტრო კოდი: 83.06.14.007)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24248.25 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 9 სექტემბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 20 სექტემბერი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP101761424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1017614

**6. მოვალე:** ელხან ალიევი (პ/ნ 28001012470), მარნეული, ს. პირველი ქესალო, მე-14 ქუჩა №5

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP101761424; ლოტის ნომერი: 1017614).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 სექტემბრის 12:00 საათამდე.



# სამოცდამეათე საყოველთაო ნათლობა

## საპატრიარქოს ინფორმაცია

საყოველთაო ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია დღე, 9 სექტემბერს იწყება, – ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

„იწყება სამოცდამეათე ეტაპი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიერ ახალდაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლისა.

ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს საპატრიარქოში ა.წ. 9 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით 12 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირისა და საეკლესიო დღესასწაულების გარდა).

**რეგისტრაციის მსურველებმა თან უნდა იქონიონ:**

**მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;**

**მშობლების ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობების ასლები;**

**შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობების ასლები;**

**მოსანათლის 2 ფოტო 3X4-ზე დაბეჭდილი ჩღ დისკით;**

**ოჯახის 1 ფოტო 10 15-ზე დაბეჭდილი ჩღ დისკით;**

**საკონტაქტო ტელეფონები: 593 90 08 10 558 65 11 59**

# ლევილის მიწამ კიდევ ერთი ქართველი მიიბარა

## საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ნიკო ჭავჭავაძე გარდაიცვალა



**საქართველოს ეროვნული მუზეუმი საფრანგეთში ნიკო მიხეილის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას.**

„ლევილის ქართული სასაფლაოს მიწამ მიიბარა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, გამორჩეული პიროვნება და არაერთი ქართველი ემიგრანტის დამხმარე და მეგობარი, ქართული კულტურის საფრანგეთში პოპულარიზაციის მხურვალე მხარდამჭერი ნიკო მიხეილის ძე ჭავჭავაძე (დაბ. 1933 წ.).

საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ლევილის მემორიალურ-ისტორიული მუზეუმი მწუხარებას გამოხატავენ ნიკო ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო, სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს, კოლეგებსა და ახლობლებს.

სექტემბერში ლევილის მემორიალურ-ისტორიული მუზეუმის თაოსნობით გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც მიეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს, საგანგებოდ აღინიშნება ნიკოლოზ და მიხეილ ჭავჭავაძეების, ნოე და ვიქტორ ხომერიკების და საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი სხვა თავდადებული ქართველების წვლილი, ხოლო ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს ექნებათ შესაძლებლობა, პატივი მიაგონ ნიკო ჭავჭავაძის ხსოვნას, რომელიც ჭავჭავაძეებისა და ხომერიკების დიდი ოჯახის წევრი და სხვა ღვაწლმოსილი ქართველების საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო“...

# ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების მეთერთმეტე ფესტივალი ხვალ იხსნება!

**ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი მე-11 სეზონს UNESCO-ს ორგანიზაციის უწყვეტი პატრონაჟის მიღებით აღნიშნავს.**

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი 10-15 სექტემბერს, მეთერთმეტედ უმასპინძლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მუსიკოსებს და მსმენელს შესთავაზებს დაუვიწყარ დღეებს მრავალფეროვანი პროგრამით. 5 დღის განმავლობაში ბათუმი გახდება კლასიკური მუსიკის ეპიცენტრი და ზღვისპირა ქალაქს მოეფინება ჯადოსნური ჰანგები. დაარსების დღიდან ფესტივალის მისიაა ქვეყნის საერთაშორისო კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ქართველი ტალანტებისთვის მნიშვნელოვან პლატფორმას.

წელს პირველად, ფონდი „ლირა“, ფესტივალის ფარგლებში დააწესებს პრემიებს გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა პიანისტებისთვის და შესთავაზებს მასტერკლასებს ნორჩ მევიოლინეებს.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელიც მიმდინარეობს UNESCO-ს ორგანიზაციის უწყვეტი პატრონაჟით.

ფესტივალის ტრადიციული მხარდამჭერებია: საქართველოს მთავრობა, საქართველოს კულტურის და სპორტისა სამინისტრო, აჭარის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი.




# დეა კულუმბეგაშვილის „აპრილი“ ვენეციის კინოფესტივალზე პრიზით დაჯილდოვდა

**7 სექტემბერს, ვენეციის 81-ე კინოფესტივალის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელზედაც ქართველი რეჟისორის, დეა კულუმბეგაშვილის ფილმს – „აპრილი“ ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფილმი ქართულ-ფრანგულ-იტალიური ნამუშევარია. ქართულ მხარეს წარმოადგენს კინოკომპანია „დამოუკიდებელი კინოპროექტი“ (Iნდეპენდენტ ფილმ ჴროჴეცტ) და პროდიუსერი არჩილ გელოვანი.

„ეროვნული კინოცენტრი ულოცავს დეა კულუმბეგაშვილს, არჩილ გელოვანსა და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ დიდ წარმატებას“, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.







**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.6935; ევრო - 2.9925;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5487;**
**100 რუბლი - 2.9961; თურქული ლირა - 0.0792;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5838;**
**1000 სომხური დრამი - 6.9465.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 სექტემბერს**